მ ა ტ ი ა ნ ე



გამოდის 1989 წლიდან, 22 დეკემბერი, 2014 წ. №3-4 (9-10)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი-
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
გაზეთი-ჟურნალი

დ ი დ ი ღ ა მ ე

1991 წლის 22 დეკემბერი - 1993 31 დეკემბერი, იმპერიული ცენტრის მიერ ორგანიზებული კრინიმალური, სამხედრო გადატრიალების საწყისი, პირველი ეტაპია, რომელსაც ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლების მოსვლის დღიდანვე (1990 წლის 28 ოქტომბერი), ბევრი ავადსახსენებელი „მოსამზადებელი პერიოდი" უძღოდა წინ. იმპერიული ძალების მიერ წაქეზებული და შეიარაღებული რენეგატი, კრიმინალებისა და მოღალატე ქართველების მიერ საქართველოს ხელისუფლების ადმინისტრაციული შენობებისა და ტელევიზიის ძალისმიერ დაკავებას, სისხლიან გადატრიალებას თან მოჰყვა დედაქალაქიდან საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, უზენაესი საბჭოს, მინისტრთა კაბინეტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების განდევნა.

დაიწყო დიდი ღამე საქართველოს ისტორიაში . . .

გაჩერებული საათი საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას გვაგონებს რაღაცით. ჩვენც ერთ ადგილზე ვტკეპნით მიწას, თავგამოდებით ვცდილობთ ნაბიჯის წინ გადადგმას, მაგრამ არაფერი გამოგვდის და მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ. და ეს ტრიალი ოცი წელზე მეტია გრძელდება.

დღეს 22 დეკემბერია. 22 დეკემბრის ღამე ხომ ისედაც ყველაზე ხანგრძლივი ღამეა.

ქართულ კალენდარზე, აგერ უკვე 23 წელია, თარიღი არ შეცვლილა. 1991 წლის 22 დეკემბერი ისე დაღამდა, 23 დეკემბერი არ გათენებულა.

ეს დღე უგამორჩეულესად შავი თარიღია საქართველოს ისტორიაში.

ესაა დღე, როდესაც ყველაზე სრულად იჩინა თავი ქართული ხასიათის ყველა მანკიერმა თვისებებმა. 22 დეკემბერი არის სიბრიყვის, შურის, ბოღმის, წინდაუხედაობის, დავიწყების, უპასუხისმგებლობისა და ღალატის აპოთეოზი.

23 წელი გავიდა, მაგრამ ჯერ ისევ ბოროტად ბოლავს რუსთაველის გამზირის შემოგარენი. ისევ გაისმის ავტომატების კაკანი და ჰაუბიცების გრიალი. ისევ იღვრება სისხლი. ისევ დუმს თემიდა, არა თვალაკრული, არამედ - თვალდავსებული.

საქართველო ყოველმხრივ გაძარცვულია. დაჩეხილ-დანაწევრებული, მიწაზე გართხმული და სულში ჩაფურთხებული ჩვენი სამშობლო, წინაპართა სისხლით გაჟღენთილი და ძვლებით გაპობიერებული ქართული მიწა, ჩვენივე შვილებისა და შვილიშვილების მომავალი მოითხოვს:

ჩვენ უნდა დავასრულოთ 22 დეკემბრის დიდი ღამე. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ უნდა გავათენოთ 23 დეკემბრის დილა. ჩვენ უნდა აღვადგინოთ თარიღთა კანონზომიერი ცვლა ქართულ ჟამთსაბრუნავში. ჩვენ უნდა ავაღორძინოთ 9 აპრილის სული. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საწყევრად არ დავუტოვოთ სახელი შთამომავლობას.

ჯერჯერობით კი ...

სამწუხაროდ, კვლავ ნერვიულად ადგილზე ტოკავს ენერგიაგამოცლილი საქართველოს ჟამიერი, გაჩერებული საათის წამების ისარი.

კვლავ 1991 წლის 22 დეკემბერია ქართულ კალენდარზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას გაფრთხილება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს გულისტკივილითა და დიდი საშიშროების მოლოდინის ხედვით ქართველ ხალხს ამცნო თუ რას უპირებდნენ საქართველოს ისინი, ვინც გეგმავდნენ და ამზადებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას - პუტჩს:

,,მე მინდა ძალზე გულწრფელად საუბარი თქვენთან და ქართველ ერთან... ჩემი ეს გამოსვლა არ გეგონოთ ულტიმატუმი, ან რაღაც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ადამიანის განცხადება. ეს არის რეალობა, რასაც მე თქვენ ახლა მოგახსენებთ... მე მივცემ პირუთვნელ შეფასებას შექნილ სიტუაციას და იმ მოსალოდნელ შედეგებზე გესაუბრებით, რაც შეიძლება მოჰყვეს ყოველივე ამას, ვინაიდან გაცილებით მეტი ინფორმაცია მაქვს ყველაფერზე, ვიდრე ყოველ თქვენგანს ...

სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით:

ჩემი ამ პოსტიდან წასვლა გამოიწვევს საქართველოში სულ მცირე რამდენიმე ათეული პარალელური მთავრობის შექმნას და რამდენიმე ათეული პრეზიდენტის აღმოცენებას. უფრო მეტიც, გამოიწვევს საქართველოს ადგილზე რამდენიმე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

აბსოლუტური გადაჭარბების გარეშე გეუბნებით, ფრჩხილებს არ ვხსნი, ყველანი მიხვდით, ყველამ დაძაბეთ გონება და განსაკუთრებით გთხოვთ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, რამეთუ არ იცით, რას ითხოვთ... ეს უახლოეს ხანში გამოიწვევს საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის სრულ დეზინტეგრაციას და დარღვევას, სრულ ანარქიას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და კერძოდ თბილისში და მე დაგიხატავთ თბილისს, თუ ეს ამბავი მოხდა. აი, ასეთ შემთხვევაში თბილისი გადაიქცევა რამდენიმე უბნად დანაწევრებულ ქალაქად, სადაც იქნება თითო შეიარაღებული ხელისუფლება - შეიარაღებული ბანდები და მათი ხელმძღვანელები. ყოველი უბანი იქნება თითო შეირაღებული ბანდის ხელში... მათ შორის ბრძოლა ძალაუფლებისათვის და ზეგავლენისათვის და იქნება მოსახლეობის არნახული ძარცვა, არნახული დარბევა. მოიშლება ყველაფერი: ელექტროენერგია, გაზები, კომუნიკაციები... საქართველოსაც გადაედება შემდეგ ეს ტენდენცია და საქართველოშიც დაიწყება ლიბანიზაცია... საქართველო გახდება მსხვერპლი ტოტალური ანარქიისა და საერთოდ, საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. აი, რა მოჰყვება ჩემს შესაძლო გადადგომას...

... ეს არ არის მუქარა... ეს არ არის გადაჭარბება და ეს არ არის ჩემი პიროვნების, ვთქვათ, თავზე მოხვევა თქვენთვის, ანდა სურვილი, რომ მაინც და მაინც მე დავრჩე ამ პოსტზე, ჩემო ბატონებო. ეს არის რეალობა და მე გთხოვთ, გაახილოთ თვალი და გაუმართოთ თვალი აი, ამ რეალობას . . .”

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი ბატონი ბესარიონ გუგუშვილი 1991 წლის 22 დეკემბერთან დაკავშირებით



ოცი წლის წინ, გაიმართა რუსეთ-საქართველოს 1987-1993 წ. წ. ომის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ბრძოლა. 1991 წლის დეკემბერ-იანვარში ქართველმა ერმა ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობისა და ამ მოძრაობის მიერ შექმნილი ეროვნული ხელისუფლების მეთაურობით თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია რუსული საბჭოთა იმპერიის შეიარაღებულ აგენტურას, კრიმინალიტეტს და მის უკან მდგომ საბჭოთა არმიას.

სამთავრობო შენობების გმირულ შეიარაღებულ დაცვას იანვარშივე მხარი აუბა მასსობრივმა მშვიდობიანმა საპროტესტო და წინააღმდეგობის მოძრაობამ. ასობით ათასი შეუიარაღებელი, მშვიდობიანი ადამიანი სისტემატური დახვრეტებისა და დარბევების მიუხედავად 70 წლის განმავლობაში პირველად მასსობრივად აღსდგა ერის, სამშობლოს, მისი ნება-სურვილით არჩეული ხელისუფლების დასაცავად — საკუთარი სინდისისა და ნამუსის დასაცავად.

1991 წლის 24 დეკემბრიდან (როდესაც მასობრივი შეუიარაღებელი საპროტესტო მოძრაობა დაიწყო) 1992 წლის 2 თებერვლამდე ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის, მისი ხელისუფლების მიერ გამართულმა გმირულმა შებრძოლებამ იდეურად და პოლიტიკურად დაამარცხა და მოსპო კრემლისა და დასავლეთის მიერ შექმნილი პუტჩისტური ხროვა, რომელიც ამის შემდეგ სულ მალე მსოფლიო გლობალისტურმა და იმპერიულმა ძალებმა თითონ გადააგდეს ისტორიის სანაგვეზე.

სწორედ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობისა და მისი ეროვნული ხელისუფლების 1991-1992 წლების მიჯნაზე გაწეულმა თავგანწირულმა წინააღმდეგობამ და ეროვნული გმირების დაღვრილმა წმინდა სისხლმა მოამზადა და გარდუვალი გახადა 1993 წლის შუახანებში საქართველოში კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენის პროცესის დაწყება და წარმატებული განვითარება — რომლის გლობალისტური, იმპერიული ძალებით შეჩერება ვაშინგტონის ადმინისტრაციის მითითების საფუძველზე რუსეთის მიერ პირდაპირი და დაუფარავი აგრესიის შედეგად მოხერხდა

ფიზიკური დამარცხების მიუხედავად 1991-1993 წ. წ. ეპოპეამ ქართველ ერს მოუტანა უდიდესი ზნეობრივი და სულიერი გამარჯვება რომელიც აგერ უკვე 20 წელია იმედით კვებავს ქართველ ერს და მოსვენებას არ აძლევს ხელისუფლების უზურპატორებს.

განხილულმა შებრძოლებამ გარკვეულწილად აღასრულა ქართველი ერის სულიერი მისსიაც და ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის თავგანწირული ლიდერის ზვიად გამსახურდიას პირადი მისსია, — აგრეთვე მისივე ანდერძი რომლის გახსენებისთვის დღეს საუკეთესო დროა.

აი რა იდუმალი სიტყვა გაგვანდო და რა დაგვიტოვა ანდერძად სულმნათმა ზვიად გამსახურდიამ:

- «ჩვენ ვდგავართ საქართველოს ისტორიის დიდ გზის გასაყარზე, სადაც ქართველი კაცი კიდევ ერთხელ ამბობს უარს ამქვეყნიურ, ფიზიკურ კეთილდღეობაზე, სულისმიერი ეროვნული აღორძინების სახელით. აღორძინება კი განახლებისა და საკუთარი ჭეშმარიტი მეობისაკენ დაბრუნებას ნიშნავს, რაც მხოლოდ ღვთის შეწევნითა და თითეული ჩვენგანის თავდაუზოგავი საქმიანობით შეიძლება მივაღწიოთ მას.

- ქართველი ერის ისტორია, საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორია, ქართული კულტურა და ტრადიციული ღირებულებანი ეს არის ჩვენი წარსული, ეს არის ჩვენი სიამაყე. თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლი ხალხი, რელიგიური მსოფლმხედველობისა და ეროვნული ცნობიერების აღორძინების საზოგადოება — ეს არის ჩვენი აწმყო, ჩვენი ბრძოლის შედეგი.
- -საქართველოში,როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანულ ქვეყანაში, ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის;
- - ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს
- სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას. სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას;
- - საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე – ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც;
- - სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ იყო და არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან;
- - დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დამყარებით;
- - ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს – ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედუმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს;
- - სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენასთან ერთად მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად უნდა იქცეს;

ქალბატონებო და ბატონებო.

- - ქართველი ერი გამოირჩევა თანასწორთა შორის თავისი ყოფით, ადგილით და ენით. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

- ჩვენი ისტორია, ცხოვრების წესი, ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის – ეს არის მოწამეობრივი გზა, ქრისტემიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა.

- - ისტორია გვაძლევს შესაძლებლობას, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპეულ გზას, ავაღორძინოთ თავისუფალი საქართველო. დგება ჟამი როდესაც უკლებლივ ყველას სიცოცხლე მამულს ეკუთვნის.
- - ერი უეჭველად მზად არის გადამწყვეტი ბრძოლისათვის – ეროვნული ხელისუფლების ვალია იყოს ღირსი უდიდესი მისსიის – შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა – საქართველოს დაუბრუნოს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში.
- დიდი მიზნები მხოლოდ ღვთაებრივი სიყვარულით აღსრულდებიან.
- დაე აღსრულდეს ნება ღვთისა, ნება ერისა.
- გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!
- ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!»

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვები, ეს ანდერძი - რომელიც ამ ღირსშესანიშნავ დღეს კიდევ ერთხელ გავაჟღერეთ და კვლავაც მრავალჯერ უნდა გავაჟღეროთ — უნდა გახდეს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ხელახალი აღორძინებისა და აზვირთების იდეური საძირკველი და მასაზრდოებელი წყარო.

დიდება **1991-1993** წლების შეუპოვარ, თავგანწირულ შებრძოლებას, დიდება რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულ მამულიშვილებს!

საქართველოს რესპუბლიკის ემიგრაციული მთავრობის პრეზიდიუმი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი, „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ მუდმივი წევრი, „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების“ გამგეობის წევრი ბესარიონ გუგუშვილი

2011 წ. დეკემბერი

*წაკითხული იქნა **2011** წლის **22** დეკემბერს თბილისში, თავრობის სასახლის წინ „მრგვალი მაგიდის“ ორგანიზაციების ბრიფინგზე.*

ნაწყვეტი ბატონი ბესარიონ გუგუშვილის სტატიიდან „ვარსკვლავიერი საათი“

იმ ერთ ღამეს უამრავი ადამიანი გახდა გმირი. იმ ღამეს უამრავი გახდა უფრო დიდი ვიდრე დედამ შობა. ბევრზე–ბევრმა აჯობა საკუთარ თავს, დაამარცხა სუსტი და ლაჩარი საკუთარ სულში. გმირები გახდნენ ის უზენაესი საბჭოს დეპუტატები – რომლებსაც არ შეეშინდათ და არ მიატოვეს თავისი პოსტი... გმირები გახდნენ ის მინისტრები, პრეფექტები, ქალაქებისა და სოფლების მერები და გამგებლები – რომლებსაც არ შეეშინდათ და არ დათმეს ლეგიტიმურობა... სამუდამო გმირი გახდა მთავრობის სასახლის დამცველი ის ასობით თავმდაბალი მებრძოლი – რომელთა სახელი დღეს ნაკლებად ახსოვთ. გმირი გახდა ის ათასობით უიარაღო, მაგრამ უსაზღვრო რწმენით აღჭურვილი ჩვეულებრივი, დღეს უსახელო ადამიანი – რომლებმაც ის ღამე მთავ-რობის სასახლის ეზოში, მისადგომებთან, დერეფნებში და ოთახებში თეთრად გაათიეს და თავისი იქ ყოფნით, თანადგომით ამხნევებდნენ მებრძოლებს...

მე კარგად მახსოვს იმ ღამის მებრძოლების, მათ შორის შავ ფორმიანი „ომონელების“ თავმდაბალი, უშიშარი, გადაწყვეტილი თავგანწირვის ძალით დამშვიდებული სახეები... ისინი არ იცავდნენ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას და თუნდაც ეროვნულ, ლეგიტიმურ ხელისუფლებას (როგორც ზოგს უნდა ახლა გაასაღოს): ისინი რესპუბლიკის პრეზიდენტის მეთაურობით იცავდნენ მართალ, კაცურ, ამაყ საქართველოს – თვითონ კაცები. ამიტომ – მუდამ გამარჯვებულები იქნებიან – იმის მიუხედავად, რომ ვერც სიცოცხლეში და ვერც მერე ვერ ეღირსებიან იმ დაფასებას, რომელიც მათ ერგებათ. და, დარწმუნებული ვარ – ამას არც ელოდებოდნენ, არც ელოდებიან და არც სჭირდებათ... ესაა სწორედ მათი თავგანწირვისა და გმირობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი! იმ ღამეს გმირი გახდა მთელი ქართველი ხალხი – რომელმაც არ თქვა უარი საკუთარ არჩევანზე... გმირი გახდა ქართველობა ზოგადად – რომელიც ტყვიითა და სიკვდილით ვერ შეაშინეს და ვერ დააჩოქეს!

ეს საქართველოს უდიდესი გამარჯვება იყო. ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა... კიდევ ერთხელ თავგანწირვითა და უკანმოუხედავად შეებრძოლა ბოროტს... კიდევ ერთხელ არ დათმო სიმართლე, სამართალი, კაცობა... არ აიტანა სულში ჩაფურთხება...

საქართველო და ქართველობა იმ ღამეს სულ სხვანაირი გახდა.

იმ ღამეს დათესილი რწმენა და სისხლი, საქართველოს სულსა და გულში იმ ღამეს ჩანერგილი გმირობა და თავგანწირვა – ბოროტი ცეცხლითა და მახვილით, მასობრივი სასტიკი რეპრესიებითა და წამებით, ცილისწამებისა და სიცრუის ვულკანით ვერ ამოშანთა შევარდნაძის არაკაცული ძალაუფლების თორმეტმა წელიწადმა და ვერც სხვა ნებისმიერი ხელისუფლების მიერ არაკაცული მიჩუმათება და ჩამოხურდავება ამოშანთავს!

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სრულუფლებიანი წარმომადგენელი საზღვარგარეთ - ბატონი *იოსებ ღუდუშაური*

ძვირფასო თანამემამულენო!

1991 წლის 22 დეკემბერს ურცხვად ჩამოიხსნეს ნიღაბი ქართველი ერის მტრებმა და დაიწყო მუხანათური შეაიარაღებული შეტევა კანონიერი ხელისუფლების დასამხობად. ეს იყო შიდა და გარე ანტიეროვნული ძალების მხრიდან ქართველი ერის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება. ეს იყო როგორც საერთაშორისო შეთქმულება ასევე კომუნისტურ-ნომენკლატურული რევანში, რომლის მომზადებაშიც დიდი წვლილი მიუძღვით როგორც აშშ-ს, ასევე რუსეთის მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას და დასავლეთ ევროპის ფსევდო-დემოკრატიულ ორგანიზაციებს.

1991-1993 წ. წ. სახელმწიფო გადატრიალების განხორციელებაში დაქირავებული მოღალატეები იყვნენ ფულს, ჩინ-მედლებს და კეთილდღეობას დახარბებული წითელი ინტელიგენცია, კომუნისტური ნომენკლატურის რეაქციული ფრთა და კრიმინალური ქურდული სამყაროს ავტორიტეტები.

მე-20-ე საუკუნის მიწურულს საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში მოხდა გაუგონარი რამ: საქართველოს ეკლესიის პატრიარქმა და სამღვდელოების უდიდესმა ნაწილმა ზურგი შეაქცია ერის მიერ კანონიერად არჩეულ პრეზიდენტს, ლეგიტიმურ ხელისუფლებას. ერისა და ქვეყნის სამწუხაროდ საქართველოს ეკლესია ქრისტეშობის დღესასწაულზე ქართველ მამულიშვილთა ხოცვა-ჟლეტას სრული უპასუხისმგებლობითა და ბოროტების წაქეზებით შეხვდა.

1991 წლის 22 დეკემბერი უდავოდ ითვლება ეროვნული მონაპოვარის დაცვის დღედ!

ეს არის დღე, როდესაც ქართველმა ერმა საკუთარი სისხლის ფასად მოისურვა იმ მონაპოვრის დაცვა რომელიც მიღწეულ იქნა 1989 წლის 9 აპრილის გამოღვიძებითა და 1990 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებით.

სრულიად ბუნებრივია რომ 9 აპრილის მონაპოვრის დაცვისათვის 1991 წლის 22 დეკემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერება საქართველოს ისტორიაში, როგორც დამოუკიდებლობის დაცვისათვის ქართველი ერის გმირული ბრძოლის თვალსაჩინო მომენტი.

ასევე სიმბოლურია, რომ დევნილობაში მყოფი საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ბესარიონ გუგუშვილი, პირუთვნელად აფასებს 1991 წლის 22 დეკემბრის მნიშვნელობას და ამ დღეს მიიჩევს ქართველი ერის ღირსეული შვილების მამულიშვილური ვალის აღსრულების დღედ! მამულიშვილებს კვლავ შევახსენებთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლება პრემიერ-მინისტრ ბესარიონ გუგუშვილის მეთაურობით კვლავაც აგრძელებს მოღვაწეობას ზვიად გამსახურდიას მიერ დეკლარირებული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეალების საფუძველზე და ქართველ ერს მოუწოდებს გაჰყვეს მას!

ვესაუბრებით, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის წევრს სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხებში, ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის დეპარტამენტის სახელმწიფო უშიშროებისა და საიდუმლო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს, საქართველოს ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს - ბატონ *თამაზ ხუციშვილს*

კორ. - ბატონო თამაზ, ახლოვდება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღი: 22 დეკემბერი. ალბათ არის ამ მოვლენებთან დაკავშირებული არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი.

რესპ. - დიახ, ბევრი ასეთი ინფორმაცია შემიძლია გაგიზიაროთ, თუმცა არის ზოგი ისეთიც, რაზედაც ჯერ კიდევ ვერ ვისაუბრებ.

*კორ.*_- იცოდით, თუ არა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ? *რესპ.* - ბატონი ზვიადის წინააღმდეგ ქმედებები ჯერ კიდევ ეროვნული ძალების ხელისუფლებაში მოსვლამდე დაიწყო. იყო რამდენიმე მცდელობა მისი ლიკვიდაციისა, რომელიც თავიდან იქნა აცილებული. ეს საშიშროება მუდმივად იდგა, მაგრამ 1991 წლის მარტისთვის უკვე მოვიპოვეთ ინფომაცია მოსალოდნელი სახელმწიფო გადატრიალების შესახებ: „პუტჩი" უნდა დაწყებულიყო 2 სექტებერს (გ.ჭანტურიას მიერ დანიშნული მიტინგის დღეს) და დამთავრებულიყო წლის ბოლომდე. ჰქონდათ მეორე, უფრო გრძელვადიანი ვარიანტიც, თუმცა დაწყების თარიღი არ ცვლებოდა.

კორ. - რატომ არ მიიღეთ პრევენციული ზომები.

რესპ. - ჩვენ დაგვიპირისპირდა გლობალური მასშტაბის ძალები: ივნისში პრეზიდენტს ესტუმრა 4 უცხოელი პიროვნება, რომელთაც ბატონ ზვიადს მოსთხოვეს რამდენიმე პირობის შესრულება, რაზედაც მისგან უარი მიიღეს. დამშვიდობებისას ერთი მათგანი დაემუქრა, რომ კარგად დაფიქრებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ხელისუფლება ვადას ვერ დაასრულებდა. მოგვიანებით, ეს ფაქტი სატელევიზიო გამოსვლაში, ბატონმა რენო სირამემ დაადასტურა. ამ შეხვედრის შემდგომ დაიწყო დაძაბულობა მთავრობაში: ხოშტარია, კიტოვანი, სიგუა, ადამია ნებსით თუ უნებლიედ, რუსებთან ერთად, გახდნენ მთავარი შემსრულებლები სახელმწიფო გადატრიალებისა. პირადად ჩემთვის გამაოგნებელი იყო მათ რიგებში კიტოვანის ჩადგომა, ვინაიდან მანამდე ყველანაირი პრევენციული ზომების მიღება მისი ხალხის დახმარებით ხდებოდა.

კორ. - ანუ, თქვენ ამბობთ, რომ ამ უბედურების თავიდან აცილება შეუძლებელი იყო?

რესპ. - ჩემი ინფორმაციით, ეს რომც მოგვეხერხებინა, 1992 წლის თებერვალში დაგეგმილი იყო მეზობელი სახელმწიფოს პირდაპირი სამხედრო ჩარევა.

კორ. - რას გვეტყოდით საბოლოო დასკვნის სახით.

რესპ.- 1991 – 93 წლების მოვლენების შედეგად საქართველოს კანონიერი ხელისუფლება დამხობილ იქნა სამხედრო გადატრიალების გზით, რომლის სულის ჩამდგმელი გარე მასონური სამყარო იყო. გადატრიალების ტექნიკურ აღმსრულელად კი რუსეთის იმპერიის ჯარი იქნა გამოყენებული, რომლიც თავის მხრივ დაეყრდნო საქართველოში არსებულ მის აგენტურას და კრიმინალურ დაჯგუფებებს, ასევე დასავლეთის მიერ ჩანერგილ შიდა-მასონურ, კოლაბორაციონისტულ ძალებს და დენაციონალიზებულ ელემენტებს.

კორესპონდენტი: გიორგი მერაბიშვილი

„ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“

დიდი გასაჭირი დაუდგა ბედკრულ საქართველოს: მეცხრე დღეა, არ წყდება ქვემეხების გრუხუნი და ავტომატების კაკანი. იწვის რუსთაველის გამზირი. პრეზიდენტი და მთავრობა ბლოკადაშია. რას ვაკეთებთ ჩვენ, ქართველი ხალხი? იმ დღიდანვე განგაში უნდა ამტყდარიყო მთელ საქართველოში. ყველა ქუჩაში უნდა გამოვსულიყავით შეძახილებით: - „დაყარეთ იარაღი, მოღალატეებო!“

არ უნდა წყდებოდეს ელესიის ზარების ხმა, თორემ ქვემეხების ხმას სიმშვიდე არ დაუკარგავს ჩვენთვის: არ ვამბობთ უარს ქორწილებზე, დღეობებზე... ახალი წელი მოდის, ბაზარში ბევრია გამყიდველიცა და მყიდველიც - მიდის ხალხი სანოვაგით დატვირთული, გოჭებით, ინდაურებით, ნაძვისხით... გაოცებული უცქერენ მეამბოხეებს.

შობის მარხვაა, ბატონი ზვიადი მთავრობის დაცვას მოუწოდებს, სისასტიკით არ მოექცეთო მტერს. თავად ისინი კი მზად არიან ყველანაირ სისასტიკეზე წავიდნენ.

განგაში სექტემბერ-ოქტომბერში უნდა აგვეტეხა ქართველო ხალხო! მაშინ რომ ყველას ბოროტებაში ჩართული თავისი მეგობრისთვის, თავისი მზობლისთვის, თავისი ნათესავისთვის, თავისი თანამშრომლისთვის გამოეცხადებია

ბოიკოტი, დღეს ეს არ მოხდებოდა. ისინი რიცხვით ცოტანი არიან: ალბათ ოცი პროცენტი და ამ ოც პროცენტს ოთხმოცი პროცენტის რისხვა რომ დასტეხოდა თავს, მაშინ ჩვენ არ მივიდოდით დღევანდელ დღემდე - ისინიც გადარჩებოდნენ და ჩვენც.

მათ დიდი დრო მისცა პრეზიდენტმა, რომ გონს მოსულიყვნენ, უდიდეს დათმობაზე წავიდა, იმიტომ, რომ ის ქრისტიანია, ჭეშმარიტი ქრისტიანი! გაუფრთხილდა, არ სურდა, რომ ამდენი მოღალატე ჰყოლოდა საქართველოს, მაგრამ ამაოდ: ისინი გონს ვერ მოეგნენ. მინახავს მთავრობის სახლის წინ მდგარი გვარდიელები. კეთილშობილებით აღსავსენი, საყვარელნი და მოსაფერებელნი. ბევრი მათგანი ცოხალი აღარ არის დღეს. მათი საფლავები არ გვაპატიებენ ჩუმად ყოფნას. მინახავს ტელევიზიასთან მდგომი ავტომატგადაკიდებულნი და გაბორტებულნი; მინახავს პატოსანი ადამიანები, რომლებიც ტირილით მოდიოდნენ ტელევიზიიდან - ეს რა ვნახეთო - იძახდნენ. ვინ გააბოროტა ისინი? ისინი გაბოროტა „მოწინავე ინტილიგენციამ“ - ტელევიზიის შენობაში დაბანაკებულნი, მხიარულები, მოღალატეთა სიებს ადგენდნენ. პრეზიდენტმა დაინდო ისინი, მიუტევა. მათ კი საპასუხოდ იარაღი აიღეს ხელში.

დღეს საახალწლო მზადების დრო არ არის! ეს ბანდიტები, ახლა ქუჩაში რომ ისვრიან, თქვენი სახლის კარსაც შემოაღებენ და მერე გვიან იქნება. დღეს შინ ჯდომა და ჩუმად ყოფნა დანაშაულია! განგაშის დრო გვიდგას.

გვეძახის საქართველო!
შველას გვთხოვს საქართველო!
ღმერთო, დაიფარე საქართველო!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ საკონტროლო-სარევიზიო კომისიის წევრი

კლარა ტონია 30. 12. 1991 წ.

უდაბნოში გაუჩინარებული თავისუფლება

კიდევ ერთხელ გვიახლოვდება სუსხიანი 22 დეკემბერი. 23 წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ გვახსენებს იმ ავბედით მოვლენებს, რომელიც ჩვენს თვალსაწიერში ცივი ზამთრის სუსხივით ჩარჩა.

ამბობენ დრო ყველაფრის მკურნალიაო და თითქოს მივიწყებას უნდა მისცემოდა ამდენი ხნის შემდეგ ის ავადსახსენებელი მოვლენები, რომლის შედეგადაც დავკარგეთ ნანატრი თავისუფლება, რომელიც უფლის ნებით საჩუქრად მიიღო ქართველმა ხალხმა.

იმ დროს, ძნელად თუ მოიძებნებოდა ადამიანი რომელიც გულში ოდნავადაც კი გაივლებდა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ იმპერიული რუსეთი კვლავ მოინდომებდა საქართველოს დაპყრობას, გამოძებნიდა ქართული გვარის მატარებელ (თუმცა მათ ქართველობასთან არანაირი კავშირი არ აქვთ) კოლაბორაციონისტებს და იმპერიულ ინსტიტუტებში დაგეგმილი მეთოდებით კვლავ გაანადგურებდა და მიწასთან გაასწორებდა ქართველი ერის ურყევ ნებას - დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, ძალდატანებით მოახვევდა თავს მის მიერვე გამოგონილ თავისუფლებას, რომელსაც ღვთაებრივ თავისუფლებასთან არანაირი კავშირი არა აქვს. რუსეთის შოვინისტური ძალები ვერაფრით ვერ შეეგუა საქართველოს, როგორც კოლონიის, დაკარგვას და დაიწყო განმეორება იმ ნაცადი ხერხისა, რაც „წარმატებით“ განახორციელა ჯერ კიდევ1921 წელს და რის შედეგადაც განდევნილ იქნა თავისუფალი საქართველოს მთავრობა. მოიძებნა ქართველი გვარის მქონე კოლაბორაციონისტები და განხორციელდა მასიური შეტევა საქართველოზე, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით დამთავრდა და რამაც მრავალი სამშობლოს სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი შეიწირა.

ამის შემდეგაც თითქოს დროც გაიყინა და შედეგად მივიღეთ მივიღეთ „ოთხმოცწლიანი უდაბნო“, რომელშიც დიდი სულიერი განსაცდელების წინაშე აღმოვჩნდით.

ამბობენ, თუ გინდა ადამიანი ადვილად სამართავი იყოს, მას უნდა წაართვა სარწმუნოება, შეაძულო სამშობლო, წაუშალო ღირებულებები, გახადო მოღალატე, გარყვნილი, კაცთმოძულე, ფულთმოყვარე და აქციო იმპერიის საძოვარზე მიშვებულ პირუტყვად.

დღეს ბევრს დაობენ, რა არის ადამიანის ფუნქცია, თუ მისია დედამიწაზე, თუ როგორ უნდა იცხოვროს მან, რომ ამ ქვეყნიდან წასულმა მარადიულ სიცოცხლეში დაიმკვიდროს სასუფეველი. ამასთან დაკავშირებით ყველაზე კარგი ახსნა ქრისტიანულ-მართლმადიდებელ სარწმუნოებას აქვს. ის ასწავლის და მიუთითებს არამარტო ზნეობრივი ცხოვრების წესზე, რაც ათი მცნებით გამოიხატება, არამედ ასწავლის, თუ როგორ განვლოს სასუფეველამდე მისასვლელი ცხოვრების გზა, რომელიც უფალმა, ადამიანის შექმნასთან ერთად, მაცოცხლებელი, მაცხოვნებელი სული შთაბერა, მისცა სამშობლო, სიყვარული და ის ღირებულებები, რომლებიც მას ცხოვრების წესად ექცეოდა.

და ისევ განმეორდა 1921 წელი ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში და დადგა სისხლიანი 1991-1993 წლები. ადამიანების ვიწრო წრემ ისევ გაისასტიკა გული, ისევ დაივიწყა უფალი, კვლავ დაიღვარა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ქართველ მამულიშვილთა სისხლი და „გამარჯვებულებმა“ ისევ ფართოდ გაუღეს კარი სამშობლოს დამპყრობლებს და ტაშ-ფანდურით შეეგებნენ იმპერიის კარზე აღზრდილ კოლაბორაციონისტებს, რომლებსაც სამშობლო არა აქვთ და არც არასოდეს ჰქონიათ. შედეგად ისევ მივიღეთ სამშობლოდან გაძევებული თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და ეროვნული ხელისუფლება, ისევ შევუდექით იმ მომქანცველ გზას, რასაც „უდაბნო“ ჰქვია.

ღმერთმა უწყის კიდევ რამდენი წელიწადი დაგვჭირდება იმისათვის, რომ მამაზეციერმა კვლავ მოგვხედოს წყალობის თვალით, კვლავ გამოგვიგზავნოს მწყემსი კეთილი იმისათვის, რომ კვლავ მივიღოთ ჭეშმარიტი, ნანატრი თავისუფლება.

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის წევრი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელი

მალხაზ ცქიფურიშვილი

პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება” 25 წლისაა

2014 წლის 19 ოქტომბერს, გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” საზეიმო თავყრილობა, „ჰელსინკის კავშირის", როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ასევე, აღინიშნა, 1990 წლის 28 ოქტომბრის, საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების 24 წლისთავი! თავყრილობაზე მხედრული ხსოვნითი პატივი მიეგეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” ორ უდაო ლიდერს - ბატონებს ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას, რომელთა ტრაგიკული დაღუპვის დღიდან უკვე გავიდა, შესაბამისად 20 (ბატონი ზვიადის) და 25 (ბატონი მერაბის) წელი. ორი ქრისტესმიერი ძმა, ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ ღმერთისა და სამშობლოს წინაშე იხრიდნენ მუხლს. მოგეხსენებათ, 25 წლის წინ, 1989 წლის ოქტომბერში ჩატარდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირის" I ყრილობა, რომელზეც მიიღეს კავშირის წესდება და პროგრამა. კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ზვიად გამსახურდია. აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება” (შემოკლებით „საქართველოს ჰელსინკის კავშირი") არის თანამოაზრეთა პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა” და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

ასევე, აღსანიშნავია, რომ 24 წლის წინ, 1990 წლის 28 ოქტომბრის, საქართველოში ჩატარებული პირველი მრავალპარტიული, თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო და ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მთავრობა, რომლის შემდგომ, საფუძველი ჩაეყარა და 1991 წელს, საერთო-სახალხო რეფერენდუმზე დაყრდნობით, გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენა და არჩეულ იქნა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი - ბატონი ზვიად გამსახურდია.

საიუბილეო თავყრილობაში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრმა - ბატონმა ბესარიონ გუგუშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის პირველმა ვიცეპრემიერმა, ბატონმა - იოსებ ღუდუშაურმა და უზენაესი საბჭოს წევრმა, ბატონმა ფირუზ დიაკონიძემ, ინტერნეტ ქსელის საშუალებით თავყრილობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” წარმომადგენელმა - ბატონმა პლატონ ხუციშვილმა, თავყრილობას თავმჯდომარეობდა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების” თავმჯდომარე - ბატონი ნოდარ კიკნაძე. თავყრილობაში მონაწილეობა ასევე მიიღეს მოწვეულმა სტუმრებმა: ბატონებმა ზაზა სიხარულიძემ, გიორგი წივწივაძემ, საკანონმდებლო (უზენაესი საბჭო და საკრებულოთა) და აღმასრულებელი (მინისტრთა კაბინეტი და პრეფექტურები) ორგანოებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წევრებმა.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირის" მხრიდან, ასევე, მოიგონეს და პატივი მიაგეს „საქართველოს ჰელსინკის კავშირის" მხრიდან დაღუპულ და გარდაცვლილ წევრებს.

საიუბილეო თავყრილობაზე მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, დღეს, მსოფლიოში არსებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. თავყრილობაზე გამომსვლელების მიერ ვრცლად იქნა მიმოხილული „ საქართველოს ჰელსინკის კავშირის" წარსული საქმიანობები, ასევე ისაუბრეს სამომავლო გეგმებზეც და ამასთან დაკავშირებით, მიღებულ იქნა შესაბამისი რეზოლუცია.

თავყრილობაზე აღინიშნა, რომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი" გამოთქვამს სურვილსა და მზადყოფნას თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდამჭერ ღონისძიებებში.

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი დღეს, მსოფლიოში არსებული პოლიტიკური მოვლენების ფონზე, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით

ძვირფასო თანამემამულენო!

დღეს, ძალზედ აქტუალურია, უკრაინაში მიმდინარე მოვლენები მსოფლიოს დამაბულ პოლიტიკურ ფონზე. ყოველივე ამ მოვლენებს, თან ახლავს გამომახილი სხვადასხვა ქვეყნებში და განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. უკრაინაში მიმდინარე პროცესები უმეტეს წილად ხელოვნურადაა განპირობებული. ეს არ არის ერის ბუნებრივი, ჯანსაღი რეაქცია.

აღსანიშნავია, რომ დღეს, უკრაინაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ხელოვნურად შექმნილი პერსონაჟების მიზანმიმართული ქმედებებით საფრთხე ემუქრება ასევე, ქართველებსა და ზოგიერთ, განსაკუთრებით, ჩეჩენ ერს შორის მტრობისა და სიძულვილის ჩამოგდებას, რაც უპირობოდ ხელს აძლევს იმათ, ვისაც არ სურთ ერთიანი და ძლიერი საქართველოს არსებობა.

ჩვენ ვემიჯნებით ყოველგვარი, ძალისმიერი გზით ხელისუფლების დამხობას, რომელიც ხალხის მიერაა არჩეული და რასაც შეიძლება მიეცეს მხოლოდ სახელმწიფო გადატრიალების შეფასება.

ჩვენთვის მიუღებელია ასევე, საქართველოს ფაქტობრივი, ძალაუფლების მქონე მთავრობის პოზიცია იმდენად, რამდენადაც იგი, უუნაროა გეოპოლიტიკურ საკითხებზე დამოუკიდებლად მიიღოს რაიმე სახის თავისუფალი გადაწყვეტილება, ვინაიდან თავადვე არ არის ქართველი ერის ნების გამომხატველი და წარმოადგენს უკანონო, არასამართლებრივ ინსტიტუციას, რომელიც არის ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური იდეის მატარებელი.

როგორც ცნობილია, საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ძალისმიერი დამხობის შემდეგ, ქვეყანას მართავს გარეშე, იმპერიული ძალები, მიუხედავად საქართველოს ე. წ. ხელისუფლებათა მონაცვლეობისა, თუ გათამაშებული რევოლუციებისა. ანალოგიურ დადგმულ სცენარს ვხედავთ ჩვენ, დღეს, უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში.

სამწუხაროდ, დღეს, არც უკრაინას არ ჰყავს ნამდვილი, ეროვნული ძალა, რაც თავის თავში, უცილობლად, გულისხმობს უკრაინელი ერის, როგორც სახელმწიფო, ასევე სარწმუნოებრივი იდეის გამაერთიანებელი მოძრაობის არსებობას. ყოველივე ამის უქონლობა კი, ერისათვის მთავარი შემკვრელი ძალის გარეშე დარჩენაა, რაც მას საბოლო ჯამში უქადის იმას, რომ უკრაინის გულანთებული პატრიოტები, რომელთაც არ აქვთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიური თვითშეგნება გადაიქცევიან ნეოფაშისტურ ძალებად და ეს უკრაინელივე ხალხის მტრის წისქვილზე ასხავს წყალს. ამას ემატება უკრაინელი ერის სარწმუნოებრივი გაორება მართლმადიდებლურსა და კათოლიკურ ეკლესიებს შორის და ეს, კი, ერის ერთადერთი, ჭეშმარიტი სარწმუნოების - მართლმადიდებლობის ქვეშ გაერთიანების შესაძლებლობის არქონაა.

უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს ასევე აქვს გეოპოლიტიკური - სამხედრო მიზეზები, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ უკრაინა არის გაეროსა და გაეროს უშიშროების საბჭოს დამფუძნებელი წევრი, რითაც განპირობებულია მისი სსრკ-დან დამოუკიდებლობის გამოცხადების ფიქცია. მეორეც ის, რომ უკრაინის შეარაღებული პოლიციური ძალები მინიმალური ძალით იღებს მიმდინარე კონფლიკტში მონაწილეობას, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ომს ხელოვნურად ეძლევა კრიმინალური სახე და მასში ძირითადად მონაწილეობენ ხელოვნურად შექმნილი სამხედრო ფორმირებები, ბატალიონები, რომელთაც არ გააჩნიათ მყარი იურიდიული და სამართლებრივი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებთან, რაც მათი მოქმედების „თავისუფლებას" იწვევს, ხოლო ეს ყველაფერი კი კეთდება მხოლოდ იმისთვის, რომ მათ შეასრულონ იმ ძალების დირექტივები, რომელნიც არც ერთ სამართლებრივ სივრცეში არ ფიქსირდებიან და შესაბამისად არც პასუხისგებაში მიცემა ემუქრებათ; არ იგულისხმებიან ის ვითომ ავტორიტეტი პირები, რომელნიც საბოლოოდ გამოყენებულნი და შემდგომში ხალხთა სამართლიანი გულისწყრომის დასაშუმინებლად „შეწირულნი" იქნებიან. საკუთრივ ეს ხელოვნურად შექმნილი ფორმირებები კი შეასრულებენ იგივე „მხედრიონის" როლს, გააღვივებენ კრიმინალს, ეროვნულ შუღლსა და ანტისახელმწიფოებრივ იდეოლოგიას. ასევე აღსანიშნავია უკრაინის ისტორიული ასპექტი, რომელიც განაპირობებს უკრაინის ეროვნულ სარწმუნოებრივ შემადგენლობას. უკრაინის აღმოსავლეთი და სამხრეთის არსებითად დიდი ნაწილი დასახლებულია ეთნიკური რუსებით, რაც არის ძირითადი მიზეზი (და არა მიზანი) რუსეთის მოქმედებისა, რასაც თან ზდევს საკუთრივ უკრაინელ ხალხში სარწმუნოებრივი გაყოფა ორ ნაწილად და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის არ ქონა. ეს ყოველივე კი მომზადებული ნიადაგია მტრისათვის, რათა უკრაინელი ერი საბოლოოდ გაყოს და მისი დიდი ნაწილი გადააქციოს ფაშისტურ ძალად.

რუსეთს ასევე აქვს საზრუნავი სამხედრო უსაფრთხოების თვალსაზრისით უკრაინასთან მიმართებაში, ვინაიდან მას ევროპიდან უკრაინის გავლით არ იცავს არანაირი ბუნებრივი რელიეფური ბარიერი (მსგავსი კავკასიონის მთისა), რაც სახმელეთო უხაფრთხოებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე ირღვევა 1000 კილომეტრიანი უსაფრთხოების ზონა მოსკოვთან, რის შემთხვევაშიც საშაერო თავდაცვის უნარიანობა მინიმლურად მცირდება.

ის, რაც დღეს უკრაინაში ხდება, ეს არ არის უკრაინელი ერისა და ხალხის ნება. ეს არის უკრაინის ფაქტობრივი და მარიონეტული მმართველი კლანის ნება, რომელიც ისეთივე ძალისმიერი გზებითაა მოსული ქვეყნის სათავეში, როგორითაც, საქართველოში, მოვიდა შევარდნაძის ასევე მარიონეტული კლანი და არის გამყიდველური და მოღალატური პოლიტიკის მატარებელი უკრაინელი ხალხისათვის. ცხადია, მათ მოსვლას ქვეყნის სათავეში, ხელი შეუწყო არა უკრაინელმა ერმა, არამედ უკრაინის მოსახლეობის იმ მწირე ნაწილმა, რომელის იდეოლოგიასა და მენტალიტეტს წარმოადგენს არა ეროვნული იდეა, არამედ დასავლური ე. წ. მოჩვენებითი და ფარსი ფასეულობები, რომელსაც, ბუნებრივია, თან ერთვოდა დაფინანსება დასავლეთიდან და მთელი სახელმწიფოს ხელში არსებული მასობრივი იარაღების მათ სასარგებლოდ ამუშავება, რამაც საბოლოოდ გამოიღო კიდეც შედეგი.

და საბოლოოდ ყოველივე ამას საფუძვლად უდევს უკრაინის სახელმწიფო საფუძვლების რყევა, ხელისუფლების ძალისმიერი იძულებით განდევნა, ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალის არ არსებობა და უკრაინელ ერზე ფსიქოლოგიურ-იდეოლოგიური ტერორი, რომელიც ხირციელდება დასავლური ყალბი ფასეულობების მიზანმიმართული დანერგვის გზით.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ უკრაინელ ერს და ვგმობთ ყოველგვარ ანტიუკრაინულ, ანტისახელმწიფოებრივ, ანტისამართლებრივ ქმედებებს, როგორც უკრაინის ფაქტობრივი, ძალაუფლების მქონე მთავრობის მხრიდან, ასევე, ქვეყნის გარეშე მსოფლიო იმპერიალისტური ძალების მხრიდანაც!

უფალი იყოს უკრაინისა და საქართველოს მფარველი ჭეშმარიტი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში!

ნუკრი ბაღდავაძე

საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის წევრი,
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარის მოადგილე,
თბილისის ბიზნესისა და საერთაშორისო სამართლის უნივერსიტეტის პროფესორი
საქართველოს ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი

ეს წერილი მიზნად არ ისახავს მისი ბიოგრაფიის დეტალების წვდომას, თუმცა მას უდავოდ საინტერესო ცხოვრება აქვს გამოვლილი. იგი იდგა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ სათავეებთან. ისევე, როგორც მთელი ქვეყნის, ამ ორგანიზაციისთვისაც უმძიმეს პერიოდში, იყო რა წლების განმავლობაში თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, ხშირად მარტოდმარტოც, გააფთრებით იბრძოდა „ჰელსინკის კავშირის“ გადასარჩენად. იყო სასამართლო პროცესები, იყო პიროვნული დაპირისპირებები, იცვლებოდნენ მოწინააღმდეგეები, მათი ბრძოლის მეთოდები ... უცვლელი იყო თავგანწირვა და შემართება ამ კაცისა, რის წყალობითაც ორგანიზაცია დღესაც ფუნქციონირებს.

„ჰელსინკის კავშირის“ პირველი თავმჯდომარის ზვიად გამსახურდიას შემდეგ, ჩემი აზრით, სწორედ მას მიუძღვის ყველაზე მეტი დამსახურება ამ ორგანიზაციის წინაშე. მის მიერ განვლილი ცხოვრებისა თუ პოლიტიკური გზა მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს ღირსეული ადამიანი სამშობლოს, თუ როგორი ერთგულებით უნდა იცავდეს იმ იდეალებს, რასაც თავი შესწირეს ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ.

ასეა დღესაც, ასე იქნება მომავალშიც. ამის საწინდარია მისი სულიერება, პიროვნული სისუფთავე, დიდი ერუდიცია, უკომპრომისობა.

ნუკრის

ბოლოს და ბოლოს, ბოლოს და ბოლოს,
ყველა ნებდება, ყველა წყვეტს ბრძოლას.
ყველა ნებდება ბოლოს და ბოლოს,
თითო-ოროლა დარჩება მხოლოდ,
ვინაც არ დათმობს მამულს და ენას,
ვინც არ შეიცვლის აზრსა და რწმენას!
ვიღაც აიღებს იარაღს ხელში
და დაასრულებს სიცოცხლეს ტყეში.
ვიღაც გიჟისას ჩაიცვამს სამოსს,
რომ მამულისთვის ასე ეწამოს.
საყოველთაო სიმშვიდის მიღმა,
ვიღაც ლოთისას მოირგებს ნიღაბს.
და როგორც ადრე, ცრემლის არმჩენი,
დაელოდება მამული ჩვენი
მას, ვინც დაამსხვრევს მონობის წყვდიადს:
ახალ ილიას და ახალ ზვიადს!

ნოდარ კიკნაძე
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ თავმჯდომარე

Selfie or Carpe Diem

ანუ, მოდაზე აჭრილი, ვითომ დავარცხნილი აზრები

(ვუძღვნი ჩემს მეგობრებს ქალბატონ მანანა ჭირაქაძესა და ნოდარ კიკნაძეს)

სელფი - ავტოპორტრეტის დაწერის მცდელობაა ალბათ, ან საკუთარი გონებრივი საშუალებებით, ან სხვათა მეშვეობით მომენტის დაჭერაა.

სელფი თითქმის ყველას უყვარს, მაგრამ ამავე დროს, სიფრთხილეა საჭირო, რამე თუ, შხამიანი სოკოს ეფექტები დაჰკრავს.

რა თქმა უნდა, იგი მაინც, ბუნებრივად ეგოისტურია ავტორისაგან გამომდინარე, მხოლოდ დადებითის წარმოჩენით, ვითომ სიზმრისა, თუ ოცნების ახდენაა, მოგონილი, ალტერნატიული მეთოდების გამოგონებაა, ხშირად, უკეთ წარმოჩენისათვის, მაგრამ ამავე დროს, სახიფათოა და ხშირად, შედეგობრივად ,,მყიფე და მსხვრევადი".

ამ დროს, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, რამდენად თავისუფალი, ან გიჟია ადამიანი, რამდენად თვითიდენტურია იგი, თუ უბრალოდ მიმბაძველი ასლებისა და გარე აზროვნებისა, რამეთუ უმეტესად მართლდება სიტყვები - ,,კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოჩინდების . . ." და თუ ზოგჯერ, იგივე ,,კოკასა შიგან" სხვა, უცხო სითხის ჩასხმა ხორციელდება, ძალზედ სახიფათო მირაჟია.

სელფი ყველას როდი ეხერხება, არადა, სელფი ბედნიერებისა და სიამოვნების ძიებაა, მაშინაც კი, როცა ,,ბედნიერებამ გვითხრა: - ნუ მეძებთ . . ."

ჰოდა, შეჩერდეთ, დაფიქრდეთ, დაიმახსოვროთ!

ამ დროს, ნამდვილად დიდი თვალებია საჭირო, ჩემო მეგობარო, რომ უკეთ დავინახოთ და გავარჩიოთ თეთრი და შავი, იმპულსური და გაუცნობიერებელი სურვილი ჭეშმარიტად მნიშვნელოვანისა და ფასეულისა.

და თუ მართლა ვიცით, რა ფერისაა ბავშვობა და სიყმაწვილე, იისსავე სურნელს რომ აფრქვევს, რა ფერისაა სიყვარული, დამტყდარი სტიქიური ბედნიერება, თუ უბედურება, წინა ღამის ახდენილი, თუ აუხდენელი სიზმარი-ნატვრა . . . , დახვრეტილი, თუ ნაიარები განვლილი წლები, ,,ერის გამოღვიძება", თუ ,,ოცნებების სასაფლაო" და ,, ადამიანთა სევდა"... და ბოლოს, თუ მართლა ვიცით, რა არის სიცოცხლე, რა არის სიკვდილი . . . , ,,მოდით, მაუგლივით ჩავხედოთ ერთმანეთს თვალებში და ყველამ ერთმანეთს შევსძახოთ მაგიური სიტყვები - მე და შენ ერთი სისხლისანი ვართ!" . . . და თითქოს გამხმარ ნატვრის ხეზე, აქამდე აუხდენელი ოცნებების სიმბოლოებად შევაბათ ჩემი, შენი და მისი ფერადი ნატვრა. დროულად . . . თორემ, საბოლოოდ გაქრებიან ჩვენი თანამედროვე ადამიანები, დროის ,,უკანასკნელ მოჰიკანთა" სახეები, ემოციები და თავად დროც . . .

სანამ დროა ჩვენც შევჩერდეთ, დავფიქრდეთ კიდევ ერთხელ ყოველივეზე . . .

სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე, ხალხის უმრავლესობას თითქმის სულ წაუშალეს მეხსიერება და აღარაფერი ახსოვს, უბრალოდ ცხოვრობს, ცხოვრობს პურისა და სანახაობისათვის .

დიახაც, ერთგვარად, მოქალაქეები, დაბადების, თმის შეკრეჭისა და წვერის გაპარსვის გარდა, ვიდრე სულს განუტევებენ, თითქოს ათასი საჭირბოროტო საქმით არიან დაკავებულნი, მაგრამ სინამდვილეში, მხოლოდ აურზაურის შოუს ხარბდებიან. სამწუხაროდ, ჩვენთან ყველაფერი შოუა. სხვა არაფერი ,,იჭმევა" ,,ჩვენს სალხინეთში". ამ დროს კი, მართლაც გვავიწყდება, ნამდვილი პრობლემები, უგონოდ ვეხარბებით ჩრდილო-დასავლურ ე. წ. ,,ფასეულობებსა", თუ მათ ,,მეორად სულიერ არაფასეულობებს". ,,ტროას ცხენი" კი, კარგა ხანია ჩვენს დედა-გულ ეზოში დგას და ჩვენი უბნის მამასახლისებიც თავად კაზმავენ ფოჩიანი კამფეტებით.

,,რამე რომ იყოს . . ." - დღეს რომანტიზმია?! ფიქრია?! სიზმარია?! ოცნებაა რამე?! ჩემთვის კი, ალბათ ასეა - ნეტავი კი, რომ რამე იყოს ღირებული ამ ქვეყანაზე, სადაც ქუჩა ნაწვიმარია, ფოთლებია ფენილი . . .

ჩვენი ქვეყნის ქუჩებში შენობები უკვე მერამდენედ დააზიანა ბუნებრივმა, თუ ,,ხელოვნურმა" ცხოვრებისეულმა ,,მიწისძვრებმა". სახლისა და ქვეყნის კედლები ერთნაირადაა დახეთქილი, კარებიც აღარ იხურება. რეალურიცაა და მეტაფორულიც ყოველივე. ჩვენი გაზაფხულის შემოდგომაც და ზაფხულის ზამთარიც ესაა.

დღესაც, კვლავ ,,ძველსურნელოვნად" ჰყვავის საბჭოური პროვინციული ცხოვრება, ავადმყოფობა, კორუმპირებული ბიუროკრატია და კლანური მაფია. დღესაც ჩვენი, როგორც არამარტო ამ ,,თეატრალური ცხოვრების" პერსონაჟების, ძირითადი საზრუნავია ელექტროობა და მისი მიბმაა ჩექმებზე, ზამთრისთვის.

დღესაც, ,,დემოკრატიული" ხანის ,,ფოლკლორული" სიმღერები და ძველი საგალობლები, კვლავ ირევიან ერთმანეთში და მკრთალ შუქზე, აკორდეონი, ვიოლინო და მაგიური კავკასიური დუდუკის სიჩუმე ისმის. დღესაც, სამწუხაროდ ,,პრიმიტიული ბრძოლის" აჩრდილი დადის.

ერთდროულად, სიყვარულსა და ოცნებას ვსწავლობთ კვლავ. მერამდენედ, სიკეთესა და ბოროტებაზე ვფიქრობთ ვითომ, თავისუფლებასა და უსაზღვროებაში ფრენის სურვილის გაღვიძებას ვცდილობთ გახუნებული და უძვირფასესი ადამიანური გრძნობების ფერთა გამაში.

დღესაც, ,,უცხო ჩიტის" ,,მშვენებით" ,,ვტკბებით" და. უბრალოდ, შეუძლებელია, არ აღიარო, რომ ეს მარიონეტული სახელმწიფო და ცხოვრება ლამისაა კლასიკად გვექცა. სადღაა ღირსება და მარადიული ფასეულობანი, რომლითაც მუდამ საზრდოობდა თაობები.

დღესაც ისტორიაში ვართ ჩარჩენილები. დღესაც ,,დარვინის" დრო ჩვენში. ოცნებაც გაივლის ,,გაზაფხულის შემოდგომაზე", სასოწარკვეთაც, მრისხანებაცა და ნაადრევი სიხარულიც, ალბათ, თან გაჰყვებიან.

მართლაც, ყველაფერი რიგზე ვერ არის ჩვენს - ,,არ ვიცით ვის სამეფოში"! არა, პრობლემები, რომ გვაქვს, ნამდვილად არც ეს არ ვიცით, არც მე, არც შენ და არც ვინმე ,,ტრიფონმაც", არ ვიცით ნამდვილი დიაგნოზი პრობლემებისა და ამიტომაც, ვერც ,,ტრიფონი" ვერ გადაგვარჩენს, მითუმეტეს იგი ღმერთი არაა და ვერ უშველის ამ საქმეს. თავად უფალიც გვეუბნება ხელი გაანძრიეო, თორემ ვერც მე ვეღარ გშველიო

სხვაგვარად.

შემოგვაბერდა და შემოგველია გონი, ფიქრები, ოცნებაც. ჩვენ, ხომ მხოლოდ იმისათვის არ დავიბადეთ ამ პატარა, მართლაც, დღეისათვის ,,სამაზრო" ქვეყანაში, რომ მუდმივად ვუყუროთ ვითომ ახალ-ახალ მარიონეტ ძალთა - ,,დაბადებიდანვე პაიკების" ახალ-ახალ გადანაწილებებს. მართლაც, როდემდე ვითმინოთ მუდმივად თვალებში ნაცრის შეყრა, არაკომპეტენტურ ,,კრავთა" აღზევება და ტყუილები.

აუცილებელია, კულტურული, მორიდებული იუმორით შევახსენოთ ურთიერთს ჩვენი მძიმე მდგომარეობა, განვსაზღვროთ სად ვართ, რათა უფრო იმის იქით არ წავიდეთ, არ გადავიჩეხოთ.

დღეს, ხომ ბრწყინვალედაა შეზავებული ტკივილი და ჩვეული იუმორი. იუმორი კი, აყუჩებს ტკივილს. თორემ ჩვენც ,,იმდენად შევეჩვიეთ სიკვდილს, აქამდე რომ ცოცხლები ვართ გვიკვირს" . . .

ყინულიანი წყალი, ,,მოდაზე", არასოდეს გადამისხავს, თუმცა ჩემი ცხოვრების გამოცდილებიდან გამომდინარე, ცივი წყალის გადასხმის საშინელი შეგრძნება კი ბევრჯერ მიგემია, გაოცებული და გახევებულიც დავრჩენილვარ და ვფიქრობ, რომ ამდენი პრობლემების მხოლოდ საკუთარ თავზე განცდა და თვითშემრწუნება, არაა საკმარისი. ,,თუ სიყვარულია, სიყვარული იყოს" . დაე, ყველამ განიცადოს ,,მისი ძალა და გემო", რომ ჭეშმარიტ სიყვარულსა და თანაგრძნობას დიდი ძალა აქვს.

კიდევ ერთი, უდაოდ, თუმცა მტკივნეული, მაგრამ აუცილებლად გადასაწყვეტი საკითხი ... პრობლემათა გადაუწყვეტლად. ჩვენი საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა, დაკბენილები და დასაკბენად განწირულები, სწორედაც! საკმაოზე მეტნი ვართ უამრავი პროცესებისა და მოვლენების მოწმეები, ადამიანების მიერ მწარედ დაკბენილები, კვლავ ცოფურ გარემოში რომ ვცხოვრობთ, დღესაც, რომ არც ვრჩებით და არც ვკვდებით. გარემო, კი, სწორედაც, ისეთია, რომ იტყვიან: ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და ვერც პატრონი დიდად ძაღლსაო?! სამწუხაროდ, ვერც იმას ვარჩევთ, ვინ ვის და რისთვის კბენს.

არადა, მართლაც, სადღაა სიყვარული, თანაგრძნობა, ურთიერთპატივისცემა სოლიდარობა?! . . . სად გაქრა ეს ყოველივე?! სრული ჰარმონიულობა ძაღლს, ადამიანსა და გარემო ურთიერთობებს შორის არ გამქრალაო, ვფიქრობდით, აქვეა ახლოსო, ერთი ხელის გაწვდენაზეო ... მირაჟი აღმოჩნდა?! სამწუხაროდ! თავს ვიმშვიდებდით: ,,ნუ მიიქცევი, სულო, საძილედ, ძაღლივით ფხიზლად მიწექი კართან, ნურაფერს ძაღლურს ნუ ითაკილებ კუდის ქიცინის და ყეფის გარდა. ,,არადა, ამ დროს . . . ,, თურმე ძაღლებსაც ამედიდურებს და უმახინჯებს ძაღლურ ბუნებას ზედმეტი ქება, ჯილდო, ტიტული, ზედმეტი ზიზღი და ფუფუნება. არა!? . . .

,,მე ძაღლის კბენას უფრო ავიტან, ვიდრე ამ ძაღლურ მსახიობობას." რა გვიშველისო?! ან გვიშველისო კიდევ რამე?! კბენას გადავეჩვიოთ?! შინაური არ გვიკბენს გარეული დაგვცოფავს უთუოდ?! არა?! სულ არ გვცოფავს განა?! მე ვფიქრობ და გამოსავალი, ამ დროს ასეთი მგონია - ლომობა, ლომობა უნდა დავიბრუნოთ, დიახ ლომობა - სულით ლომობა, რაც ოდიდგან მოსდევდა ჩვენს ჯიშს. აი, მაშინ კი, ვერც შინაური ძაღლები დაგვკბენენ და ვერც გარეულები გაგვიბედავენ რამეს!

აბა, როდემდე გვინდა ეს ძაღლურ-ღორულ-ვითომ გაადამიანებური მაიმუნური ცხოვრება?!

,,ლომი კი, ბორკილს არ დაიდებს, ან მოკვდება, ან იმეფებს,

შინაური არ გახდება და ძაღლივით არ იყეფებს."

დღეს, კი, როცა ,,მთა ბექად გადაიქცა, მუხა ლელწმად, ზღვა წყაროდ, ადამიანი პეპელად. კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ ", განა ცოდვა არ არის ეს ყოველივე?!

და მაინც, ვფიქრობ, ეს მაგიური რწმენა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისა, ეროვნულ-სარწმუნოებრივი სახელმწიფოებრივი იდეები და აზრები კი, როგორც ნაზავი კულტურისა, ოსტატობისა, ქართული სიმღერებისა, ცეკვებისა და პროფესიონალიზმისა, სიყვარულისა, შთაგონებისა და გადმოცემისა, მარადიულად იარსებებს!

მადლობა მეგობარო გულისცემის მოსმენისათვის, ჩვეული სტილით, იუმორითა და მწარე სინამდვილით დაკაწრული ჩემი ფურცლები რომ გადაიკითხე. ოღონდ ნუ მეტყვით, რომ წლები შემომადნა, გულჩვილი გავხდი და ამის ბრალია. მომიტევე, თუ, ამ უკუღმა ბრუნვად ცხოვრებაში, ვერ შევძელი და ჩემი ღიმილიც კი, ვერ მოგაწვდინეთ გულის მალამოდ.

არაჩვეულებრივია, ნოსტალგიური, ილუზიური . . . თავბრუდამხვევი სიამოვნებაა ზღვა და ცამდე აზიდული მზე, ხოლო ეს პატარა ჩანახატი, თითქოს, ფრაგმენტია ჩვენი დიდი ცხოვრებისეული ფილმიდან, ან პირიქითაც, ჩვენი წუთისოფელია ფრაგმენტი ამ ჩანახატისა.

ეხლა, კი წამო კინოში, წამო მომავლის კინოში წავიდეთ?! მომავლის კინოში, სადაც ყველაფერი Happy End-ით დამთავრდება უთუოდ, ჩემთვის, შენთვის, მისთვის და ყველასათვის!

ილუზიაა?! განა ყოველივე განვლილი ილუზიაა არ იყო?! ან, იქნებ, არც იყო და არც ესაა ილუზია?!

რატომაც არა?! იქნებ და მართლაც, ყველაფერი კი არ მთავრდება, უბრალოდ ახალი ამბავი იწყება!

მოდი, გავიხსენოთ მომავალი!

სიამოვნებით დავლევდი თქვენს სადღეგრძელოს, როგორც ერთ-ერთი მოჩუხჩუხე ანკარა წყაროსი, ჩვენსა ამა სოფლად კიდევ რომ ჩამოედინება, აგრე რიგად რომ ცდილობთ მიძინებულთა გამოღვიძებას. ჩვეული პროფესიონალიზმითა და იუმორით კვლავაც კურცხალს რომ უმშრალებთ და იმედს აძლევთ უიმედოთა ლაშქარს.

მოდით თქვენის სახით იმ მეგობრებსა და მამულიშვილებს გაუმარჯოს, პირველ ცრემლს რომ შეამჩნევს, მეორეს დაიჭერს და მესამეს შეაჩერებს!

ასევე, ამ განსხვავებული სასმისით, მოდით ჩვენს ხავსმოკიდებულ ეკლესიას, ამ ეკლესიაში დანთებულ სანთელს, ამ სანთლის წინ დაღვრილ ცრემლებს და ამ ცრემლებში განდობილ, საიდუმლოს, ჩვენს სამშობლოსა და მის აღორძინებას გაუმარჯოს!

უღრმესი პატივისცემით ნუკრი ბაღდავაძე

ზვიად გამსახურდიას სულიერი მისია

1980-1990 წლებში აბობოქრებული სახალხო მოძრაობა თავისი შინაარსით ეროვნულ-სარწმუნოებრივი ხასიათის იყო. მისი მთავარი მიზანი იყო საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვება. ეროვნულ-სარწმუნოებრივმა მოძრაობამ შექმნა ლეგიტიმური ხელისუფლება, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც აუცილებელი იყო საქართველოსთვის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის. ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის მიერ შექმნილმა ხელისუფლებამ ჩაატარა რეფერენდუმი და მიიღო დამოუკიდებლობის აქტი, ამით ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის პირველი ეტაპის ამოცანა შესრულდა, მაგრამ მხოლოდ დამოუკიდებლობის მიღწევა როდი იყო ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის საბოლოო მიზანი. ამ მოძრაობის და მის მიერ შექმნილი ხელისუფლების მთავარი მიზანი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობისა, როგორც ბატონი პრეზიდენტი ბრძანებდა, იყო მართლმადიდებლური-ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა-ჩამოყალიბება.

სამწუხაროდ, ზვიად გამსახურდიას ეს სიტყვა, ეს იდეოლოგია ქართველმა ერში დავიწყებას მიეცა. უფრო მეტიც, თვით ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლებს ან ზვიადისტებს ეძახიან, ან მათ უდიდეს ნაწილს, წარმოდგენაც კი არა აქვთ ზვიად გამსახურდიას ჭეშმარიტი მისსიის შესახებ. ამიტომ, ჩვენთვის ემიგრაციული ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის უპირველესია არა ფორმალური ლეგიტიმურობის აღდგენა, რომელსაც დღეს ფარსის სახით გეგმავენ ზვიად გამსახურდიასა და ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის აშკარა მტრები, რომელთაც აჰყოლიან ყოფილები და ზვიადის მისსიის ვერ გამგებები. უმთავრესია, ქართველ ერს განვუმარტოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მნიშვნელობა და არსი!

ამის გარეშე ფუჭი იქნება ჩვენი ყოველგვარი მოქმედება.

ახლა შევეცდებით დეტალურად განვიხილოთ ამ იდეოლოგიის ძირითადი პოსტულატები, მაგალითად ერთ-ერთი პირველი და უმნიშვნელოვანესი პოსტულატი, რაც არის ფაქტიურად ქვაკუთხედი საქართველოში ჭეშმარიტი, ზვიადისეული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისა. სიტყვა-სიტყვით გავიმეორებ რას ამბობს ბატონი პრეზიდენტი:

I პოსტულატი

„საქართველოში, როგორც მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ქვეყანაში ტრადიციული იყო კავშირი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის, ქართველთა ცხოველი მორწმუნეობა განსაზღვრავდა მტრულ გარემოცვაში საქართველოს სახელმწიფოს მრავალსაუკუნოვან არსებობას, სახელმწიფო კი თავის მხრივ ხელს უწყობდა ეკლესიის სამოციქულო მოღვაწეობას.“

აი მეგობრებო, საოცარია თქვენ თუ გსმენიათ ცივილიზაციის უახლოეს ისტორიაში, განსაკუთრებით კი პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ ეპოქაში, თუ უსაუბრია საერთოდ, რომელიმე სახელმწიფოს პირველ პირს, სახელმწიფოსა და ეკლესიის ჰარმონიული თანაარსებობის მიღწევის შესაძლებლობაზე ასე ვრცლად?! თანაც საინაუგურაციო სიტყვაში. თქვენ ამის ანალოგიას ვერსად ვერ ნახავთ.

II. პოსტულატი

„საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ქართველთათვის ნიშნეული ცხოველი მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ზნეობრივი აღორძინების გარეშე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

რას გვეუბნება ჩვენ აქ პრეზიდენტი? იგი გვეუბნება, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა ვერ მოხერხდება ზნეობრივი აღორძინების გარეშე, მორწმუნეობის აღორძინების გარეშე, ჩვენთვის კი მორწმუნეობა ხომ პირველ რიგში არის მართლმადიდებლობა, ზოგადად სიმართლის თქმა, როდესაც სიმართლის მთქმელს ცხენი უნდა ჰყავდეს შეკაზმული. ეკლესიურობაზე და ზნეობრიობაზე ამყარებს საქათველოს სახელმწიფოებრივ აღორძინებას პრეზიდენტი! საერთოდ თუ ყოფილა ოდესმე ამ საკითხებზე თუნდაც მის მიმდევრებს შორის თავის თავს, რომ ზვიადისტებს ეძახიან, საერთოდ ამ კუთხით თუ განხილულა ზვიად გამსახურდიას მიერ შექმნილი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის არსი ანუ იდეოლოგია, რომელსაც ჩვენ ზვიად გამსახურდიას ანდერძსაც ვუწოდებთ. ვაგრძელებთ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის შემდეგი პოსტულატის განხილვას.

III პოსტულატი

„სწორედ ამიტომ ჭეშმარიტად ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიურ ცნობიერებასთან, ეკლესიის წიაღთან.”

ჩვენ უნდა გვესმოდეს, თუ რასთან არის დაკავშირებული დღევანდელობის ეგრეთწოდებული ეროვნული-მოძრაობა, როგორადაც ამას საქართველოში წარმოაჩენენ ოპოზიციის და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. ზვიად გამსახურდიას თქმით, ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრობა მჭიდროდ ყოფილა შერწყმული ეკლესიასთან და რელიგიურ ცნობიერებასთან, საინტერესოა რას იტყვით თქვენ ამის შესახებ? ასეთია ნუთუ დღევანდელი მოძრაობა? ეს არის ეროვნული მოძრაობა? ხალხს ეროვნული მოძრაობა ანტიეროვნული და ანტი სარწმუნოებრივი მოძრაობისგანაც ვეღარ განუსხვავებია და ლიდერებიც შესაბამისი ჰყავთ. მაგალითისთვის განვიხილოთ ვინმე „უცნობის“- ოპოზიციის ლიდერად რომ ითვლებოდა. მაპატიეთ ასეთი მკრეხელობის გამეორებისათვის: „ქალო აიწიე კაბა მოდი გავაკეთოთ რამე“. -ამას საჯაროდ რომ იმღერებს ვინმე და ის იქნება იმ „ეროვნული მოძრაობის“ ლიდერი როგორ შეიძლება? ამას დავარქვათ ეროვნული მოძრაობა?! და საერთოდ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს არა მატო „საკანი“ და მისი მონათესავე გადაცემები თუ მოძრაობები, რომლებსაც ერთდროულად სულიერ ორიენტირად ხან პუტჩისტური ხუნტის მაკურთხებელი პატრიარქი და პუტჩისტები ჰყავთ და ზოგჯერ მათგან სასიკვდილოდ გამეტებული მართლმადიდებელი პრეზიდენტი და ეროვნული ხელისუფლების მხარდამჭერები. სად ხედავთ აქ რაიმე რელიგიურ ცნობიერებას ან ეკლესიის წიაღთან ყოფნას, სად ხედავთ აქ ზნეობრიობას, სულიერებას?! ეს ხომ ფარისევლობაა! ეს ხომ ღვთის გმობაა?!

IV პოსტულატი

განვიხილოთ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის შემდეგი პოსტულატი:

„დღევანდელი საქართველოს ეროვნული-განმანთავისუფლებელი მოძრაობა თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-რელიგიური მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველესყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით. “

მიაქციეთ ყურადღება, ზვიად გამსახურდია ამბობს, რომ საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა თავისი შინაგანი არსით ეროვნულ- რელიგიური მოძრაობა არისო, ესე იგი აქ ეროვნულ მოძრაობაზე მაღლა დგას რელიგიური მოძრაობა ანუ სულიერება და ამავე პოსტულატში რა თქმა უნდა ბატონი ზვიადი აღნიშნავს, რომ უპირველესყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ ცნებასა და ცნობიერებაზე დამყარებით. მეგობრებო ამის გარეშე ეროვნული მოძრაობა ქრისტიანული სულიერების გარეშე და ქრისტიანული რწმენის გარეშე როგორც ვიცით ემსგავსება ფაშიზმს და კაციჭამიობას, ამის მაგალითები ჩვენ ისტორიაში უკვე გვაქვს და კაცობრიობამ ამის საშინელი მაგალითები ნახა როგორც იტალიაში მუსოლინის ეროვნული მოძრაობით და აგრეთვე გერმანიაში ჰიტლერის ეროვნული მოძრაობით, როდესაც ეროვნულ მოძრაობას გამოაკლდა მთავარი შემადგენელი ფაქტორი, ქრისტიანული სულიერების სახით მან დაკარგა ადამიანური სახე და იგი კაციჭამიობად გადაიქცა.

V პოსტულატი

„ეროვნული ხელისუფლება იღვაწებს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ტრადიციული ერთობის აღსადგენად. ამ ერთობის არსი შემდგომში მდგომარეობს - ეროვნული სახელმწიფოს ავტორიტეტი უნდა დაემყაროს არა მარტო ხელისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობას, არამედ უმეტესწილად ქრისტიანულ ზნეობრივ საწყისებს". რა არის მეგობრებო სოციალურ-პოლიტიკურ განსაზღვრულობა, ეს არის დემოკრატია, არჩევითობა, ადამიანის და უმცირესობების უფლებების დაცვა, ეკოლოგია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მატერიალური კეთილდღეობა და ასე შემდეგ და რას გვეუბნება ზვიად გამსახურდია ამ შემთხვევაში, ზვიად გამსახურდია გვეუბნება, რომ "არამედ უპირველესყოვლისა უფალი სცნობს ზნეობრივ აღორძინებას, ქრისტიანულ ცნებასა და ცნობიერებაზე დამყარებით". რა არის

ბატონებო ქრისტიანული საწყისები ეს არის ზნეობრიობა და მასზე უფრო მაღალი სულიერება და რაც მთავარია ქრისტიანობის გვირგვინი-სიყვარული, რომელიც დღევანდელი პოლიტიკიდან საერთოდ განდევნილია ანუ მარტივად რომ ვთქვათ ქრისტიანული სიყვარულის უზენაესობაზე ლაპარაკობს ზვიად

გამსახურდია და სწორედ ამით განსხვავდება იგი სხვა პრეზიდენტებისგან და პოლიტიკური მოღვაწეებისგან.

VI ჰოსტულატი

,,სახელმწიფოს დამოკიდებულება ეკლესიისადმი უნდა დაეფუძნოს ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობისა და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარებას", აქ ორი საკითხი უნდა გამოვყოთ: ეს არის ეკლესიის რელიგიურ-ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობაზე დაფუძნება და ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარება. განვიხილოთ ეხლა პირველი: ეკლესიის რელიგიურ- ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობა. რას ეფუძნება დღევანდელი საზოგადოება, დღევანდელი თანამედროვე ცივილიზაცია. როგორც ვიცით თანამედროვე ცივილიზაციაში ერთადერთ ავტორიტეტად ითვლება ფორმალური ანუ ცივილური სამართალი, რომელსაც იღებენ ეგრეთ წოდებული საკანონმდებლო ორგანოები, რომელთაც უმეტესწილად მართავს კლასობრივი ან კლანური ინტერესები და ხშირად ეს პარლამენტები როგორც წესი გლობალისტურ, ანტიეროვნულ, კომპარტიულ და თუნდაც სატანისტური ძალების ზეგავლენის ქვეშ არიან. რა თქმა უნდა ასეთი და ამ ტიპის პარლამენტების მიერ მიღებულ კანონებს მისი მიმღების ბეჭედი ასვია. რადგან კანონებს და ფორმალურ სამართალს მიმღების ბეჭედი ასვია ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სამართლის მიხედვით ადამიანისთვის ადამიანი არის მგელი, მკვლელი, მტაცებელი. რას გვთავაზობს ამის საპირისპიროდ ზვიად გამსახურდია, ამის საპირისპიროდ ზვიად გამსახურდია გვთავაზობს ზნეობრივი ავტორიტეტის უზენაესობის აღიარებას, ესე იგი ზვიად გამსახურდია გვთავაზობს ვაღიაროთ ქრისტიანული სიყვარულის უზენაესობა და არა ფორმალური სამართლის უზენაესობა. მეორე საკითხი: ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარება. ეკლესიის განსაკუთრებული სოციალური ფუნქციის აღიარება მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების დაუცველ ფენებს უნდა ჰქონდეთ საშუალება მიმართონ ეკლესიას, რათა ეკლესიამ დაიცვას მათი სოციალური მოთხოვნილებები, დაეხმაროს ამ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. თავის მხრივ ეკლესიასაც უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ დაეხმაროს საზოგადოების დაუცველ ფენებს, თავის მხრივ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეკლესია, რათა ეკლესიამ თავისი სოციალური ფუნქცია აღასრულოს, აი ეს იქნებოდა ეკლესიის განსაკუთრებული ფუნქციის აღიარება.

VII ჰოსტულატი

ჩვენი ისტორია ცხოვრების წესი ბრძოლა სარწმუნოებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ეს არის მოწამეობრივი გზა, ქრისტეს მიერი გზა სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა, აი ხედავთ მეგობრებო ზვიად გამსახურდია ეროვნული-სარწმუნოებრივი იდეოლოგიური ახსნისას და ამ იდეოლოგიის შესაბამისი სახელმწიფოებრიობის აგებას აფუძნებს ქრისტესმიერ გზაზე, გზაზე სიკეთისა, სიქველისა და სიყვარულისა. რა თქმა უნდა ქრისტიანულ სიყვარულზე დაფუძნებული სახელმწიფოებრიობა დღეს ალბათ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ არსებობს და თქვენ ვერ ნახავთ ალბათ ვერცერთ პრეზიდენტს ან სახელმწიფოს თანამდებობის პირს, რომელიც ქრისტიანულ სიყვარულზე აპირებდეს სახელმწიფოებრიობის აშენებას და აგებას. აი სწორედ ამით განსხვავდებ ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის საფუძველზე სახელმწიფოს აღმშენებელთა და ფორმალურ სამართალზე აღმშენებელთა განსხვავებულობა. ჩვენ ქრისტიანული სიყვარულის მიმდევრებს მხოლოდ ეს განგვასხვავებს ერთმანეთისაგან და ეს არის უდიდესი განსხვავება და ამით განვსხვავდებით ჩვენ დიამეტრალურად სხვა ყველა დანარჩენი პოლიტიკური მოძრაობებისაგან. თანამედროვე ქვეყნების სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა დღევანდელობაში თუ დაფუძნებული არის ფორმალურ სამართალზე ზვიად გამსახურდია თავის იდეოლოგიაში, ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაში უპირატესობას ანიჭებს ქრისტიანულ სიყვარულს, ესე იგი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის ცემენტად ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ქრისტიანული სიყვარული, ღვთის სიყვარული, მოყვასის მიმართ და თუნდაც მტრის მიმართ. როგორც ვიცით ცივილური სამართლის საფუძველთა საფუძველი არის ადამიანისთვის სიამოვნების მიღების ინსტინქტი, პირადული იქნება ეს თუ ოჯახური კეთილდღეობა, ყველა ჩვენთაგანი ალბათ ვისწრაფვით იმისაკენ, რომ დავიკმაყოფილოთ ეს ინსტინქტები, რითაც ჩვენ ვემსგავსებით გონიერ ცხოველებს. იმისათვის, რომ ასეთ საზოგადოებაში და ასეთი სამართლით მცხოვრებმა ადამიანებმა ერთმანეთი არ დაჭამონ, სახელმწიფოს ჭირდება ზუსტად კონსტიტუცია ძირითადი კანონი, რომ ეს

ადამიანები ჰყავდეს მორჩილებაში. მეორეს მხრივ ჩვენ ვიცნობთ საეკლესიო სამართალს, რომელიც ეფუძნება სულიერებას, ზნეობრიობას და ქრისტიანულ სიყვარულს. აი ზუსტად ისეთი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობას გვთავაზობს ზვიად გამსახურდია, სადაც ადამიანები ცხოველებს კი არ ემსგავსებიან და ცხოველური ინსტინქტებით

ცხოვრობენ, არამედ ადამიანები ცდილობენ მიბაძონ თავად შემოქმედს-ქრისტეს და იცხოვრონ იმ ზნეობრივი კანონებით, რომლებიც დაუდგინა მას ეკლესიამ.

დასკვნა

მეგობრებო, ჩვენ აქ განვიხილეთ ზვიად გამსახურდიას ანდერძი, განვიხილეთ ზოგიერთი პოსტულატი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მიერ წარმოთქმულ საინაუგურაციო სიტყვაში გაისმა და ამასთან დაკავშირებით ხაზი გვინდა გავუსვათ ემიგრაციული ხელისუფლების და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ძირითად მიზნებს.

ჩვენი ძირითადი მიზანი არის ზვიად გამსახურდიას მიერ დატოვებული ანდერძის საფუძველზე დაყრდნობით, მომავლისთვის გამოვიმუშავოთ ჩვენს სამშობლოში სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ისეთი სრულყოფილი იდეოლოგია, რომელიც საშუალებას მისცემს ქართველ ერს, გადაჭრას ყველა ის პრობლემა და დილემა, რომელიც დღეს დადგა არა მარტო ქართველი ერის წინაშე არამედ მთელი კაცობრიობის წინაშეც. ზვიად გამსახურდიამ ამის შესახებ შესანიშნავად აღწერა, თავის ნაწარმოებში „დილემა კაცობრიობის წინაშე“. ჩვენ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მსურველები და ზოგადად ქართველი ერი, ზუსტად ამ დილემის წინაშე აღმოვჩნდით! აი, ერთის მხრივ ჩვენ ვხედავთ არსებული ოპოზიციასა და დღ. რეჟიმს შორის გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომელიც ზოგჯერ მათ შორის უსაზღვრო სიძულვილში და კაციჭამიობაში გადადის. თითქოს ყველას აინტერესებს საქართველოს ბედი, ყველა დაინტერესებულია იმ პრობლემების გადაჭრით, რომლის წინაშეც ქართველი ერი აღმოჩნდა.

ალბათ, ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ ქართველი ერი გადაშენების წინაშე დადგა, მაგრამ თუ დავაკვირდებით ფაქტიური რეჟიმის იდეოლოგიას, რომელიც ყველაზე მტრულად ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეოლოგიის მიმართაა განწყობილი, აუცილებლად ვიპოვით მსგავსებას მისი ძალაუფლებაზე პრეტენზიის მქონე ოპოზიციის იდეოლოგიასთან, რომელიც ასევე ცდილობს თავისებურად, მისთვის დამახასიათებელი ვიწროპარტიულ-ფსევდოპატრიოტული ინსტიქტებით, ჭეშმარიტი ლეგიტიმურობის აღდგენის უგულებელყოფის ფონზე, იპოვოს გამოსავალი ამ ჩიხიდან, გადაჭრას ის პრობლემა, რომლის წინაშეც საქართველო და ქართველი ერი აღმოჩნდა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს გზაც ბარაბას გზაა!

ჩვენი საუბარი ამ თემაზე დასასრულს უახლოვდება და ჩვენ გვინდა დავამთავროთ საუბარი უმნიშვნელოვანესი საკითხის შეხსენებით, როდესაც ზვიად გამსახურდია საუბრობს ერის გადარჩენაზე, როდესაც ზვიად გამსახურდია საუბრობს დილემის შესახებ, რომლის წინაშეც არა მარტო ქართველი ერი, არამედ ცივილიზაცია დგას უკვე, ძირითადად დამოკიდებული არის საზოგადოების არჩევანზე, ერები რომლებიც დემოკრატიის გზას დაადგნენ, აშკარაა, რომ ხვდებიან, ამის მაგალითები ჩვენ უკვე გვაქვს, ამის მაგალითია დღევანდელი გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი სადაც ხდება ავტოქტონური ერების გადაშენება, ესე იგი დღევანდელი დემოკრატია მეგობრებო მოგვევლინა, როგორც ერების მკვლელი და ზუსტად ერების განადგურების საშიშროების წინაშე დგას მსოფლიო, ესე იგი ზვიად გამსახურდიამ დაგვანახა ეს დილემა, რომელიც ოცდამეერთე საუკუნის დილემაა და რომლის გადაწყვეტაც ჩვენ შეიძლება შევძლოთ და ჩვენ შევძლებთ ამას თუ საქართველოს, ქართველ ერს ექნება მძლავრი ერთიანი იდეოლოგია და მისი განხორციელების მექანიზმები.

ეს ის იდეოლოგიაა, რომელიც სახელმწიფოებრიობასა და სულიერებას ანუ სახელმწიფოსა და ეკლესიას გააერთიანებს და ეს გაერთიანება იქნება ჰარმონიული, როდესაც ეკლესია ეხმარება სახელმწიფოს და სახელმწიფო კიდევ თავის მხრივ ცდილობს იყოს ეკლესიის წიაღში და დაეხმაროს ეკლესიას მისი მისიის აღსრულებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ სულიერი გადარჩენის გარეშე არ არსებობს ერის ფიზიკური გადარჩენა!

უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ. გამსახურდიას სიტყვა 1990 წლის 14 ნოემბერს

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს შეურიგებელი, დემოკრატიული ოპოზიციის ძალისხმევით მომდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩატარდა მრავალპარტიული, დემოკრატიული, არასაბჭოური არჩევნები. ამ არჩევნებში ქართველმა ერმა გამოხატა თავისი ნება, მან თავისი ნდობის მანდატი გადასცა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდს -- გაიმარჯვა საარჩევნო ბლოკმა „მრგვალმა მაგიდამ -- თავისუფალმა საქართველომ“! გილოცავთ ამ გამარჯვებას მეგობრებო.

ქართველმა ერმა გამოამჟღავნა უდიდესი პოლიტიკური სიმწიფე, მაღალი ეროვნული შეგნება, ქართველმა ერმა დაამტკიცა რომ იგი მზად არის თავისუფლებისათვის.

მაგრამ ამასთან მეგობრებო, უნდა აღვნიშნო, რომ ეს ყოველივე დასაწყისია ახალი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი ომისა რომელშიც უნდა გაიმარჯვოს ჩვენმა ერმა და რომელსაც ჰქვია თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს აღორძინება.

... უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ დამნაშავეობას ვთვლით სოციალურ პრობლემად, ვინაიდან მას წარმოშობს ის სოციალურ-პოლიტიკური წყობილება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით წლების მანძილზე. რელიგიის განადგურება, ზნეობის დაცემა,

სულიერი იდეალების მივიწყება და გაუფასურება - აი, დამნაშავეობის ნამდვილი საწყისები. დანაშაულის აღმოფხვრის, სოციალური ჰარმონიის დამყარების ერთადერთი და უმთავრესი გზა იცის ცივილიზებულმა კაცობრიობამ: ეს არის რელიგიის აღორძინება, ახალგაზრდობის სწორი აღზრდა, ზნეობრივი იდეალების დამკვიდრება საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ტოტალიტარული რეჟიმისა და კომუნისტური იდეოლოგიური დიქტატურის პირობებში დიდი საფრთხე შეექმნა ქართველი ერის არა მხოლოდ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ არამედ უწინარეს ყოვლისა სულიერ და კულტურულ არსებობას და კულტურულ ფასეულობებს. დღესდღეობით აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არსებული სტრუქტურების რადიკალური რეფორმა.

გადაუდებელია განათლების სიტემის რადიკალური რეფორმა... უნდა აღვადგინოთ საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სრულფასოვანი სწავლება. უნდა გაფართოვდეს რელიგიური სწავლება, შეიქმნას საკვირაო სამრევლო სკოლები და თეოლოგიური ფაკულტეტები უმაღლეს სასწავლებლებში.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი სამართლიანი ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია. დე, იცოდეს ყველამ, რომ ჩვენ ვიბრძოდით და ვიბრძვით ჩვენი წინაპრების რელიგიური და ეროვნული იდეალების აღორძინებისათვის, რამეთუ საქართველოს დიდი მისია დააკისრა განგებამ. ქართველი ერი არნახული წამებით ვიდოდა ისტორიის ეკლიან გზაზე, იგი ზნეობისა და სამართლიანობის ქომაგი იყო მუდამჟამს, მან ხორცი გასწირა სულისათვის, მან ჭეშმარიტების მსახურება დაისახა თავის უზენაეს მიზნად, რისთვისაც მრავალგზის იგვემა და ეწამა ბარბაროსთაგან და წარმართთაგან. მაგრამ მან გამოიარა ისტორიის გოლგოთა, რათა დამდგარიყო ჟამი მისი აღდგომისა და აღზევებისა, მისი გაბრწყინებისა მსოფლიოს ხალხთა წინაშე, რათა კაცობრიობა ეზიაროს ნათელს საქართველოსას ღვთით მომადლებულს. არ არის შორს ის დრო, როდესაც საქართველო იქცევა ზნეობრივი სიდიადის მაგალითად მსოფლიოს ხალხთათვის.

ძვირფასო მეგობრებო! ჩვენი მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, რელიგიური მოძრაობაა, რამეთუ რელიგიის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტი ეროვნული აღორძინება. ამიტომაც არის დღეს ერთად ჩვენი ერი და ჩვენი ეკლესია. ჩვენ ვებრძვით უღმერთობისა და უსამართლობის უკუნით ღამეს, ჩვენს მართალ საქმეს მფარველობს განგება და ამიტომაც დავამარცხეთ მტერი. ქართველი ერი არ წავა ბარაბას გზით, უღმერთობის, ავაზაკობის, ტერორიზმის გზით. ქართველი ერის გზა სათნოების გზაა, სიქველის გზაა, სიყვარულის გზაა და ქრისტეს გზაა -- აწ და მარადის და უკუნისიდან უკუნისამდე!

კურთხეულ იყოს ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველო! ჩვენთან არს ღმერთი! ამინ!

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" მიმართვა მსოფლიო თანამეგობრობის სახელმწიფოებს და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებს

მოგეხსენებათ, ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტი-ების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო. ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას. სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიყვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვება–გაგრძელებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა ადამიანის ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჰქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

ჩვენი თავის უკეთ შეხსენებისათვის, ამასთანავე მოგახსენებთ, რომ XX საუკუნის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლას თავისი ისტორია აქვს და იგი დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელთან, რომლის თაოსნობით 1976 წელს შეიქმნა „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც თავს დამტყდარი დევნისა და რეპრესიების მიუხედავად განაგრძობდა ადამიანის უფლებათა დაცვას და მსოფლიოს ინფორმირებას საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" არის თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს პირველი პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შეჰქმნილი „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის" ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა" და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს.

კავშირი პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

კავშირი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს. ადამიანის უფლებებსა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, ეყრდნობა ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტებს.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს აშკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.

კავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ასევე ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა. კავშირი მოღვაწეობს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნის ახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი რეგიონალური პოლიტიკა – ე. წ. „საბსიდიარობა" ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბადეები და ახალი სოციალური სექტორი.

კავშირი დასახული მიზნების მისაღწევად მჭიდროდ თანამშრომლობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან.

ამჟამად, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" თაოსნობითა და ხელშეწყობით კვლავ აღსდგა და გაფართოებულ მასშტაბში, არასამთავრობო ორგანიზაციის - NJO სტატუსით დაარსდა

„ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კავკასიის რეგიონალური კავშირი" - „ Caucasus Regional Union of the Human Right Watch", რომელსაც, ასევე, სურს, უკვე რეგიონალური - კავკასიის რეგიონის მასშტაბით და დიდი სურვილია, თავისი ამოცანებისა და მიზნებიდან გამომდინარე, გაფართოვდეს ურთიერთთანამშრომლობა მსოფლიოს ყველა წამყვან ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" იყო არის და მომავალშიც სურს იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებში მებრძოლი რეალური ძალა.

კავშირი 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიის" (ცენტრი-ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშირისო ასოციაციის" (IGFM-ISHR, მაინის ფრანსკფურტი) ასოცირებული წევრი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოვოს ურთიერთობები აშშ-ს სამართალდამცავ ორგანიზაცია „ჰიუმან რაითს ვოთჩთან", დიდი ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია „საერთაშირისო ამნისტიასთან" (ინგლისი) და ა.შ.

ყოველივე ეს და არაერთი სხვა მასალა თვალნათლივ ადასტურებს კავშირის საერთაშორისო სტატუსსა და ავტორიტეტს.

ახალი რეალებიდან გამომდინარე,

1. ვთვლით, რომ დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, რათა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნულ აღორძინებამ" და მასთან არსებულმა „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კავკასიის რეგიონალური კავშირმა", როგორც ყველა, ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციებმა, მათ შორის სახელმწიფოთა „ჰელსინკის კომიტეტებმა", კვლავ აღიდგინონ ჩვეული ფორმა, აღორძინდნენ და აღიდგინონ თავიანთი აღიარებული და ჩვეული ფუნქცია.

ვგრძნობთ რა ჩვენს ვალდებულებასა და შესაძლებელ ძალას, ვაცხადებთ მზადყოფნას და უდიდეს სურვილს ყოველივე ზემოთთქმულში, ყველა შესაბამისი ფუნქციის მქონე ორგანიზაციათა ურთიერთშორის მუდმივი და უცილობელი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებაში, რომელიც დადასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, რისთვისაც ყველას ვთხოვთ შესაბამისსა და შესაძლო კონსულტაციებსა, თუ დახმარებებს ჩვენნაირი, უხუცესი, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციის აღორძინებასა და სრული ძალით ამოქმედებაში;

2. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" შემოდის თქვენს წინაშე ინიციატივით უახლოეს, ყველასათვის მისაღებ დროს, ნებისმიერ ერთობლივად შერჩეულ ადგილას, თუნდაც საქართველოს დედაქალაქ თბილისში, ჩატარდეს „თავისუფალი მსოფლიოს ფორუმი" – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის არსებული „ჰელსინკის ორგანიზაციების" წარმომადგენელთა „თავისუფალი მსოფლიო ფორუმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში", საერთო, ერთობლივი ღონისძიებების, ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი მოქმედებების შემუშავების მიზნით. მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს მსჯელობები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები;

3. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვანია ფორუმში მონაწილე სახელმწიფოთა როლიც. მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა. სახელმწიფოები ხელს შეუწყობენ და განავითარებენ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელნიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის. მონაწილე ქვეყნები ამით აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემაც არის არსებითი ფაქტორი მშვიდობისა, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამით ისინი აღიარებენ პიროვნებათა უფლებებსაც საკუთარ უფლებამოვალეობათა ცოდნისას ამ სფეროში და მათ შესაბამისად მოქმედებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში მონაწილე ქვეყნები, იმედია, იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მიზნებისა და პრინციპების, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმისდამიხედვით, თუ როგორ არიან ისინი დადგენილნი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით.

მონაწილე ქვეყნებმა ასევე პატივი უნდა სცენ ერთაშორის თანასწორობას და მათ უფლებას. აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას. მონაწილე ქვეყნები ამით დაადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის; ისინი ყოველივეთი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით;

4. „თავისუფალი მსოფლიოს ფორუმის" მონაწილეთა ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაუყარონ თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მიზანი იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად,

მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება ამავე პროცესის როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც. ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც იმპერიულ ძალებს საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს; „თავისუფალი მსოფლიოს" პროცესივე უნდა იქცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ერთა თვითგამორკვევის გარანტად, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით განუყოფელია საზღვრების ურღვევობის ფუძემდებელი პრინციპებიდან;

5. ვინაიდან, საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა და რომ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდი–გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები;

ვინაიდან, საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას კი თავის დროზე ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა – იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენს;

ვინაიდან, საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

ამიტომაც დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს, როგორც კავკასიური – ახალი კონტინენტათშორისი რეგიონის ცენტრალურ სახელმწიფოს, როგორც მსოფლიოში მშვიდობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვის, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა შესაძლო გარანტს, ჯერ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა ელის – იგი შეიძლება იყოს და უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ყველა რელიგიურ სამყაროთა შორის, რაც, ერთის მხრივ მისი ოდინდელი მსოფლიო ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება და ამავე დროს ხელს შეუწყობს ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების მხრივ ახალი გარანტიების შექმნას.

საშუროა, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა მსოფლიოს სახელმწიფოთა უსაფრთხოებისა, ერთა კულტურათა, უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და უზრუნველყოფის „თავისუფალი მსოფლიოს ერთა ანსამბლეა", რამდენადაც საქართველოს, როგორც „კავკასიური სახლის" ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს ეზიაროს ჭეშმარიტად საღვრთო საქმეს და განხორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი;

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" თავის ერთმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტადაც იქცევა. ამ პრობლემის გადაწყვეტა ძალზე საშური შეიქმნება, რადგან უაღრესად გამმაფრებული პოლიტიკური, ეთნიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გამწვავებამ შესაძლოა კატასტროფა მოაახლოოს. ჩვენ კი, აუცილებლად უნდა ავიცილოთ იგი;

6. მსოფლიოს ქვეყანათა სახელმწიფოებრიობის დონის ამაღლებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში;

7. უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი ახალი, თავისუფალი მსოფლიოს პოლიტიკური ურთიერთობების წყობა, რომლის დროსაც, მთელს მსოფლიოში, დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ხალხის ხელისუფლების საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებული იქნება ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა თითოეული ჩვენთაგანის ვალია

როგორც ცნობილია, უკვე კარგა ხანია, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება" და „სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება" საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვენ. ორგანიზაციების წევრებმა ამ მოთხოვნით საქართველოს პარლამენტში (31 იანვარი, 2013 წელი, განცხადება 18133) და საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, მთავარ პროკურატურაში (11 იანვარი, 2013 წელი, წერილი 01/13 3093) განცხადებებიც კი შეიტანეს). რამდენადაც, „დროებითმა საპარლამენტო კომისიამ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების საკითხი სრულყოფილად ვერ გამოიძია და მათ მიერ გადმოგზავნილ დასკვნასთან დაკავშირებით პროკურატურის დამოკიდებულებაც არ არის ცნობილი", ამ ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განცხადებასთან ერთად პროკურატურაში, დამატებითი მტკიცებულების სახით, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერმინისტრის, ბატონ ბესარიონ გუგუშვილის წიგნი „მკვლელობის დაკვეთა" შეიტანეს და განმარტეს, რომ წიგნში თავმოყრილი დოკუმენტური მასალები გამოძიებას დაეხმარება.

საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები მოითხოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გარდაცვალების საკითხის სამართლიან გამოძიებას, რათა მოსპობილიყო ყოველგვარი ეჭვი და ცილისწამება და საქართველოს პარლამენტს გაეკეთებინა საჯარო განცხადება და განმარტება ამ საკითხის გარსემო.

თუმცა, როგორც ცხადი იყო, არც ახალი ფაქტობრივი მთავრობის ინტერესებში ნამდვილად არ შედის გამოძიების საფუძვლიანი წარმართვა და ამ საქმის ნათელით მოფენა. მისი დამოკიდებულებაც საქმის გარშემო მხოლოდ მუდმივი პიარია, რამდენადაც ეს მთავრობაც არალეგიტიმურია წინამორბედი უკანონო მთავრობების მსგავსად და მათი სამართალმემკვიდრეა!

პასუხგაუცემელი რჩება ასევე კითხვა: შეწყვეტილია თუ არა, ბატონ ზვიად გამსახურდიაზე, ბატონ ბესარიონ გუგუშვილზე და სხვათა მსგავსი ე. წ. სისხლის სამართლის საქმეები და როგორია მათი სამართლიანობის საკითხი.

ცალსახაა, რომ გამოძიების საკითხი არ ეხება მხოლოდ ბატონ ზვიად დამსახურდიას, ან ბატონ ბესარიონ გუგუშვილს, როგორც კერძო პირებს! ეს საკითხი ეხება კანონიერი ხელისუფლების განდევნას, კონსტიტუციის შეჩერებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გაყიდვა-გასხვისებას, სახელმწიოდოებრივ რღვევას და ეროვნული ცნობიერების ტოტალურ დათრგუნვას და ქვეყნისათვის მრავალ საჭირბოროტო სხვა პრობლემებს. ამ საკითხის უგულველყოფა და მიფუჩეჩება კი, ქართველი ერის ნება-სურვილის აბუჩად აგდება და მისთვის სულში ჩაფურთხებაა!

რამდენადაც ცნობილია, 1992 წლის 4 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის, ვ.რაზმაძის მიერ აღიძრა # 7492801 სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიმართ, 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 911 მუხლით, მე-100 მუხლის მე-3 ნაწილით, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 157-ე მუხლით მე-2 ნაწილით და 254-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

1993 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის მიერ აღიძრა # 7493846 სისხლის სამართლის საქმე ზვიად გამსახურდიას, ასევე ბესარიონ გუგუშვილის, ნემო ბურჭულაძის და სხვათა მიმართ, 1960 წლის რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 75-ე და 961 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

2004 წლის 30 მარტს, ზვიად გამსახურდიას ბრალდების # 7492801 სისხლის სამართლის საქმეს ერთ წარმოებად გაუერთიანდა ზ.გამსახურდიას, ბ.გუგუშვილის, ნ.ბურჭულაძის და სხვათა ბრალდების # 7493846 სისხლის სამართლის საქმე, ხოლო 2004 წლის 13 მაისს - ასევე # 1091816 სისხლის სამართლის საქმე, სარეგისტრაციო ნომრად # 7492801-ის შენარჩუნებით (საქმე # 7492801 იგივე # 7493846)

(უფრო ვრცლად იხილეთ მასალები: https://app.box.com/s/dcjn8tzxh3p6hqmve3sv , https://app.box.com/s/7a9q636vm050kb2uli4x)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული თანხმობის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარის ბატონ ვ.მაღლაფერიძის პასუხიდან ბატონ ბესარიონ გუგუშვილისადმი, 1993 წლის 5 ოქტომბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღძრულ №7493846 სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (№118, 5 ივლისი 2000 წ.) ნათქვამია:

„საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 20 აპრილის დადგენილების „1991–1992 წლებში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების შედეგების აღმოფხვრისა და ეროვნული თანხმობის მიღწევის შესახებ" მოთხოვნიდან გამომდინარე კომისიამ სთხოვა საქართველოს გენერალურ პროკურატურას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისთ დადგენილი წესით განეხილა და გადაეწყვიტა საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ მყოფი იმ პირების სასხლისსამართლებრივი დევნის საკითხი, რომლებიც პასუხისგებაში არიან მიცემული 1991–1992 წლებიდან დღემდე განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით.

თქვენს მიმართ დაუყონებლივ იქნება საქმე შეწყვეტილი, როცა გამოცხადდებით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და საქმის შეწყვეტის შესახებ განაცხადებთ თანხმობას, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28–ე მუხლის მე–7 ნაწილის შესაბამისად ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ო" პუნქტის საფუძველზე („ვითარების შეცვლის შედგად ქმედება აღარ არის საშიში") საქმის შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია.»

მუხლი 28. სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძვლები (25.03.2005 N1204).

1. სისხლისსამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, ხოლო დაწყებული დევნა და წინასწარი გამოძიება უნდა შეწყდეს:

ლ) თუ ვითარების შეცვლის შედეგად ქმედება აღარ არის საშიში;

ო) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 21-ე მუხლი);

6. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“, „ე“, „ვ“, „ლ“, „ო“ და „პ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტა დაუშვებელია, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია.ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით.“

(უფრო ვრცლად იხილეთ მასალები: **https://www.facebook.com/notes/10152523384902998** ,

http://tcc.gov.ge/uploads/kanonebi/sisxlis_samartlis_saproceso_kodeqsi.pdf ,)

აქედან გამომდინარეც, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი, ემიგრაციული მთავრობის მეთაური, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრი, **№7493846** სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დღესაც მოითხოვს აღსრულდეს კანონის ეს დებულება:

„თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და წინასწარი გამოძიება გრძელდება ჩვეულებრივი წესით და მთავრდება გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენითა და განსასჯელის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებით.“

ანალოგიურად, უსამართლობებსა და უკანონობას ვაწყდებით პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე: საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების: ქალაქ თბილისის საკრებულოს დეპუტატების, ქალაქ თბილისის რაიონული საკრებულოს დეპუტატებისა და ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობის თავმჯდომარეების - პრეფექტების სრული პოლიტიკური და პიროვნული რეაბილიტაციის საკითხთან მიმართებაშიც.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე: საქართველოს რესპუბლიკის პირველი (1991-1998 წლების) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების: ქალაქ თბილისის საკრებულოს დეპუტატების, ქალაქ თბილისის რაიონულისაკრებულოს დეპუტატებისა და ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობის თავმჯდომარეები, ჯერ კიდევ 2005 წლიდან, მიმართავდნენ ფაქტობრივ - საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალაქ თბილისის მერს, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს და საქართველოს სახალხო დამცველს მათი უფლებების დაცვის შესახებ (.განცხადება #713/15-30.06.2004 _სახელმწიფო კანცელარია; განცხადება #3204-1-30.06.2004 _ საქართველოს პარლამენტი; განცხადება #2230-30.06.2004 და #2180-01.07.2004 _ საქართველოს მთავრობა; განცხადება #კოდი-10360-30.06.2004 _ ქ.თბილისის მთავრობა). რომლის თანახმადაც ამავე დროს, მართალია, ნაკლებად იმედოვნებდნენ, რა ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ძირეული ცვლილებების მნიშვნელობას და ამასთან, რომ ახალი ხელისუფლება ამ ცვლილებათა არსში _ ქართული სახელმწიფოს რეალური აღმშენებლობის, ჭეშმარიტი ეროვნული და პიროვნული თავისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიზანსაც მოიაზრებდა.

ისინი გადაუდებელ და აუცილებელ ნაბიჯად მიიჩნევდნენ 1991-1993 წლების მოვლენებს მთლიანობაში მისცემოდა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილიც იქნებოდა 1991 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების _ საკრებულოთა უფლებამოსილებისა და საქმიანობის ძალადობით ხელშეშლის, დეპუტატთა უფლებების გაუგონარ დარღვევათა შეფასება და მათი სრული რეაბილიტაცია.

„ქართულ სახელმწიფოში ჩვენი სამართლებრივი სტატუსი, როგორც ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს დეპუტატებისა მაშინაც და დღესაც კვლავ გვავალდებულებს:

ერთის მხრივ, სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოვუცხადოთ ჭეშმარიტად ეროვნული ცნობიერების კანონიერ, სამართლებრივ ხელისუფლებას არა პასიური, არამედ აქტიური ფორმით ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის ბრძოლაში ჩართვით, რომლითაც რეალიზებული იქნება ჩვენი ორ ათწლეულზე მეტი გამობრძმედილი გამოცდილება, პრინციპულობა, შეუპოვრობა, უკომპრომისობა, პროფესიონალიზმი და რაც მთავარია სამშობლოსადმი ერთგულება;

მეორეს მხრივ, სრული მორალურ-სამართლებრივი უფლებით, კანონიერებისა და სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობის აღდგენასთან ერთად, მოვითხოვთ ჩვენი, როგორც დეპუტატებისა და კანონიერი ხელისუფლების თანამდებობის პირთა, ისე პიროვნულ რეაბილიტაციას.

ამასთან ავღნიშნავდით, რომ ხელისუფლება, რომელიც გულწრფელად დაინტერესებულია კანონიერების, სამართლიანობისა და ქართული სახელმწიფოს რეალური თავისუფლებით, ვალდებულია და მისთვის აუცილებელიც კია გადადგას ამდაგვარი ნაბიჯი, ვინაიდან ჩვენ საერთაშორისო სამართლის ნორმებით საყოველთაოდ აღიარებული კანონიერი და ლეგიტიმური გზით არჩეული ხელისუფლების ერთ-ერთი აუცილებელი შტოს წარმომადგენლები ვიყავით და ვართ“ - ნათქვამია მათ მიმართვაში.

მნიშვნელოვანი და ისტორიული ფაქტია, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების შედეგად მოსული ეროვნული ხელისუფლება წელიწადნახევრის განმავლობაში საფუძველს უყრიდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და მის სამომავლო განვითარებას. 1991 წლის 31 მარტს, რეფერენდუმის გზით საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ისტორიული არჩევანი გააკეთა და ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეას, ხოლო 1991 წლის 9 აპრილს ხალხის მიერ კანონიერად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ 1921 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა, მიიღო კანონი საერთაშორისო სამართლის ნორმების (ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში) პრიმატისა კონსტიტუციაზე, შეჰქმნა გარდამავალი პერიოდის დროებითი ძირითადი კანონი არსებულ კონსტიტუციაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის საფუძვლებზე, ასევე

განახორციელა მუნიციპალური არჩევნები.

დიახ, სწორედ ის, პირველი ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების (საკრებულოებისა და გამგეობების) არჩევნები, რომელიც კანონიერად ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 31 მარტს და იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ნაბიჯი დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს იმდროინდელი ხელისუფლებისა.

1991-1993 წლებში მომხდარმა შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა, სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასიურ დარღვევებს, დააფუძვნა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარყოფინა მას კანონის უზენაესობის პრინციპი. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძველად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

მოლოდინისამებრ, აბსურდული აღმოჩნდა, რომ რეალურად განხორციელდებოდა 2004 წლის 26 იანვარს საქართველოს ფაქტობრივი პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული `ეროვნული თანხმობის დეკლარაციის" ფოსტულატები, რომლის ერთ-ერთი პირობაც ასეთიიყო: `პოლიტიკური მოტივით რეპრესირებულთა საზოგადოებრივი და სოციალური რეაბილიტაცია, ქვეყნის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში მათი სრულფასოვნად ჩართვისათვის ხელშეწყობა".

იმ დღიდან, 1992-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებული, ახალ-ახალი, ფაქტობრივი ხელისუფლებების საპროგრამო დებულებები მხოლოდ თვალის ასახვევად ეფუძვნებოდა საერთაშორისო სამართლის ნორმებს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების სფეროში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და საყოველთაო დეკლარაციებს, საერთაშორისო პაქტებს სამოქალაქო, პოლიტიკური ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, ევროპაში უსაფრთხოებასა და თანამშრომლობის საკითხებზე მონაწილე სახელმწიფოთა კოპენჰაგენისა და ვენის 1986 წლის თათბირების შემაჯამებელ დოკუმენტებს, 1991 წლის თათბირის – ადამიანური განზომილების შესახებ დოკუმენტაციასა და სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ჩვენი მოთხოვნების სამართლებრივ საფუძვლებს.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მოთხოვნები შემდეგი იყო და კვლავ არის:

1. 1991-1993 წლების მოვლენებს მისცემოდა პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იქნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობითი ორგანოების საკრებულოთა უფლებამოსილებისა და საქმიანობის ძალადობით ხელშეშლის შეფასება;

2. მომხდარიყო რეპრესირებულ საკრებულოს დეპუტატთა სრული პოლიტიკური და პიროვნული რეაბილიტაცია;

3. დაწესებულიყო რეპრესირებულ საკრებულოს დეპუტატთა სოციალური გარანტიები და დასმულიყო საკითხი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ;

4. ასევე დადებითად გადაწყვეტილიყო მათი დასაქმების პრობლემა, საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში სრულფასოვნად ჩართვის მიზნით.

მივიჩნევდით, რომ მხოლოდ ამ გზით მიიღწევოდა სრული ეროვნული თანხმობის დასაწყისი, სახელმწიფოებრივი სამართლებრივი ლეგიტიმაცია და სახელმწიფოებრივი აღორძინება-კეთილდღეობა.

საქართველოს პარლამენტის რეპრესირებულთა შესახებ შესაბამისი კანონის მიღების შემდგომ იურიდიული ფაქტის დადგენის მიზნით, ამავე კანონის შესაბამისად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებმა მიმართეს ჯერ ქალაქ თბილისის სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს, ხოლო შემდგომ აღიარებითი სარჩელით ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, სადაც წარმოადგინეს დამატებითი მტკიცებულებები და შეეცადნენ განემარტათ სარჩელში მოცემული ძირითადი და დამატებითი მტკიცებულებების შინაარსი და მოითხოვდნენ _ `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 მუხლების საფუძველზე დადგენილიყო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი და აღიარებული ყოფილიყვნენ 1991-1993 წლებსა და შემდგომ პერიოდში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად, რათა აღდგენილიყო პოლიტიკური რეპრესიების შედეგად დარღვეული ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო, სოციალური, მორალური და სხვა სახის ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მოგვნიჭებოდა შეღავათები კანონით დადგენილი წესით.

განცხადებაში აღნიშნული ვადების 1991-1993 წლების მოვლენებთან და შემდგომ პერიოდთან კავშირი გულისხმობდა მის, როგორც წინა, ასევე შემდგომ პერიოდსაც და განპირობებული იყო ამ პერიოდში არსებული რეჟიმის მათდამი დამოკიდებულებით.

ასე, რომ მათი აზრით ამ მთლიან პერიოდში სხვადასხვა ფორმით ვითარდებოდა ყოველივე რეპრესიული თუ ძალადობრივი ზეწოლები მაშინდელი ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ.

განმცხადებელთა აზრით:

,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ,,ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს მოქალაქეებზე, რომლებმაც პოლიტიკური რეპრესია განიცადეს ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე 1921 წლის თებერვლიდან 1990 წლის 28 ოქტომბრამდე და შემდგომ," რასაც მიეკუთვნებოდა ჩვენს მიერ მითითებული დროის პერიოდიც. ამავე კანონის მე-2 მუხლით პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა და კერძოდ ჩვენთვის: თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა-შეჩერება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით.

მაგალითისათვის - ნუკრი ბაღდავაძე, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე: საქართველოს რესპუბლიკის პირველი (1991 წლის) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლი: ქალაქ თბილისის

ვაკის რაიონის საკრებულოს დეპუტატი, ქალაქ თბილისის ვაკის რაიონის რაიონული გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე და შემდგომ ამავე რაიონის პრეფექტი.

მიმართვიდან გამომდინარე, ყოველივეს უკავშირდებოდა მისი, როგორც საკრებულოს დეპუტატის, გამგეობის თავჯდომარისა თუ პრეფექტის თანამდებობის უკანონო შეჩერება-გაუქმება და უკანონო ორგანოს მიერ უკანონო დათხოვნა, ხოლო შემდგომ წლებში როგორც პოლიტიკური პირთა დევნა-შევიწროება, სოციალური და სხვა მრავალი რეპრესიული მეთოდების გამოყენება, რითაც ირღვეოდა კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებები და რაც უპირველესყოვლისა უკანონო ხელისუფლებამ განახორციელა პოლიტიკური მოტივით, დაკავშირებული იყო ჩვენს პოლიტიკურ შეხედულებებთან და უკანონო რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით.

მისი მაგალითითა და სახით, კანონის მესამე მუხლთან კავშირი იყო ის, რომ ისინი იყვნენ, როგორც ძალადობრივი, უკანონო გზით დამხობილი ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი რანგის წარმომადგენლები და ასევე გახლდნენ კანონიერი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკურ ორგანიზაციების ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირები, რომელზეც გადაიარა უკანონო ხელისუფლების მთელმა რისხვამ და განაცდევინათ პოლიტიკური რეპრესია.

მათ მიმართ, ასევე, დარღვეული იყო საერთაშორისო სამართლებრივი კანონები საქართველოს კონსტიტუციის 42 მუხლის 9. პუნქტი და მთელი რიგი საერთაშორისო სამართლემრივი კანონები:

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 19: `_ ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრწამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოთქმისა. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრწამსი და ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად." ასევე მე-13 მუხლი _ უკანონოდ საგანგებო მდგომარეობის შემოღება;

2. ეუთოს ,,ვენის 1986 წლის შემაჯამებელი დოკუმენტი, მუხლი 11;

3. კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი მუხლი 6 და მუხლი 9;

4. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ _ მუხლი 19, 4 და 28;

5. პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმება და პარლამენტის დათხოვნა წარმოადგენდა ადამიანის უფლებების დეკლარაციის 42-ე მუხლის უხეშ დარღვევას, რომლის თანახმადაც ყოველ პიროვნებას უფლება აქვს არჩეულ იქნეს და აირჩიოს მისთვის სასურველი პიროვნება. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად ,,ხალხის ნების ერთადერთი გამოხატულებაა თავისუფალი არჩევნები.".

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე _ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსისი მქონე პირები, ასევე მოითხოვდნენ ,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-7, მე-8 და მე-10 მუხლების, ასევე ,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის (2005 წლის 24 ივნისი, #1770-რს) გათვალისწინებით მათთვის დაედგინათ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი და ეღიარებინატ 1991-1993 წლებში და შემდგომ პერიოდში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვრეპლად, რათა აღდგენილიყო პოლიტიკური რეპრესიის შედეგად დარღვეული მათი თითქმის ყველა პოლიტიკური, სამოქალაქო მორალური, სოციალური და სხვა სახის უფლებები და თავისუფლებები და მინიჭებოდათ შეღავათები კანონით დადგენილი წესით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნულ საკითხზე მიიღო სწორი გადაწყვეტილება.

მაგალითისათვის, რაც ფაქტობრივად თითქმის ყველა გადაწყვეტილებაშია საერთოა: მაგალითისათვის საქმე #3/2329-06, 11 ივლისი 2006 წელი, ქ. თბილისი.

სასარჩელო განცხადების გაცნობის, საქმეში არსებული მასალების შესწავლისა და მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენის შედეგად სასამართლო თვლის, რომ (მაგალითისათვის) ნუკრი ბაღდავაძის სარჩელი მოპასუხე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმათ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების თაობაზე საფუძვლიანია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება _ ანუ აღნიშნული მოთხოვნის მიმართ მას გააჩნია კანონიერი ინტერესი, რაც გამოიხატება იმაში, რომ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებით მას აღუდგეს დარღვეული უფლება და მიენიჭოს შეღავათები, რაც გათვალისწინებულია `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღოიარების და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონით და შესაბამისად სარჩელი მის მიერ სასამართლოში აღძრულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე (აღიარებითი სარჩელი).

,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მესამე მუხლის `ა" ქვეპუნქტის თანახმად პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია.

,,საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად პოლიტიკური რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა _ სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, გასახლება . . . თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმრიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები და ა.შ.

საქმეში არსებული მასალებით სასამართლომ დაადგინა, რომ ეღიარებინა(თ) (მაგალითისათვის ბატონი ნუკრი ბაღდავაძე) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღოიარების და

რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4. მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად.

საბოლოოდ კი სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ სასამართლომ, იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, მე-2-ე, 25-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე, 244-ე, 249-ე, 257-ე და 369-ე მუხლებით და გადაწყვიტა: (მაგალითისათვის _ 1. ნუკრი ბაღდავაძის სარჩელი მოპასუხე _ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიმართ დაკმაყოფილდეს. 2. მოსარჩელე ნუკრი ბაღდავაძე აღიარებულ იქნეს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. . . . და 4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში თბილისის სააპელაციო სასამართლოში., რაც საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს არ განუხორციელებია.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქმის მოსამზადებელ ეტაპზეც საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდს, როგორც მოპასუხეს გადაეგზავნა სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლი, მას შესაგებებელი სასამართლოში არ წარმოუდგენია. სასამართლოზე კი მათი წარმომადგენელი სარჩელს არ სცნობდა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე უკანონოდ არ იქნა დათხოვნილი (იხ. დანართი _ სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე #3/2329-06, 11. 07. 2006, რაც ეწინააღმდეგებოდა როგორც სასამართლოს კანონიერ დასკვნებს და ასევე საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 11 მარტის დადგენილებას).

ამავე დროს მიღებული გვქონდა საშუალედო პასუხები ჩვენს მიმართვებზე ზემოთხსებული შესაბამისი ინსტანციებიდან : საქართველოს სახელმწიფო მინისტრის (რომელსაც გადაეგზავნა ჩვენი მიმართვები პრეზიდენტისადმი და მთავრობისადმი რეაგირებისათვის) პასუხი _ #2180-13.09.2004; შემდგომ _ საქათველოს პარლამენტის რეგიონალური პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღალმთიანი რეგიონების კომიტეტის (რომელსაც გადაეგზავნა ჩვენი მიმართვა საქართველოს პარლამენტისადმი) პასუხი _ #3204-1, 07. 04. 2005 და ქ. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის პასუხი _ #ჯოდი-10360, 16. 11. 2004, (იხ.დანართი).

სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, 2006 წლის ნოებერში, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებმა მიმართეს საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის შესაბამის ფილიალებს საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტის შესახებ და განცხადებასთან ერთად ჩააბარეს შესაბამისი საბუთები.

საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის (მაგალითისათვის) ვაკე-საბურთალოს ფილიალმა კი 2007 წლის 5 იანვარს მათ აცნობა, რომ: _ `როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლისათვის პენსიის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახ. ფონდიდან მიღებული წერილის საფუძველზე განგიმარტავთ, რომ `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, პენსია ენიშნებათ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს, თუ მათ მიმართ სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური მოტივით გამოყენებული იქნა ამავე მუხლით გათვალისწინებული იძულების ფორმები, კერძოდ, პირებს, რომლებიც იმყოფებოდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სპეციალურ დასახლებაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, გადასახლებაში, გასახლებაში, ენიშნებათ პენსია `სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესითა და ოდენობით. ვინაიდან, მათი წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავს ზ/ჩამოთვლილ იძულებით ფორმებს, იგი არ იძლევა ამ სტატუსით პენსიის დანიშვნის საფუძველს" და რომ ფონდს გადაწყვეტილებით (ალბათ სასამართლოს, ჩანართი ჩვენია) პენსიის დანიშვნის ვალდებულება არ ეკისრება.

ამის შესახებ საქართველოს კანონში `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ვკითხულობთ: `მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 და მე-5 პუნქტები: `4. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული პირის მიმართ სოციალური დაცვის გარანტიების ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიტან 2006 წლის 1 იანვრიდან. 5. ამ კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი არ აბრკოლებს შესაბამისი კატეგორიის პირთა საქმეების სასამართლოში განხილვას". `მუხლი 2. პოლიტიკურ რეპრესიად მიიჩნევა იძულების სხვადასხვა ფორმა _ სიცოცხლის ხელყოფა, ჯანმრთელობის დაზიანება, . . . , თანამდებობიდან ან სხვა სამუშაო ადგილებიდან უკანონო დათხოვნა, . . . , აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული ადამიანის უფლებების ან თავისუფლებების სხვაგვარი შეზღუდვა, რომელიც სახელმწიფომ განახორციელა პოლიტიკური მოტივით სასამართლოს ან სხვა სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით და დაკავშირებული იყო დანაშაულის ჩადენაში ყალბ ბრალდებასთან, პირის პოლიტიკურ შეხედულებასთან ან არსებული პოლიტიკური რეჟიმის უკანონო ქმედების მიმართ წინააღმდეგობის გაწევასთან მშვიდობიანი საშუალებებით, სოციალურ, წოდებრივ ან რელიგიურ კუთვნილებასთან, აგრეთვე ამ კანონის მე-4 მუხლში ჩამოთვლილი სახელმწიფოს მიერ განხორციელებული იძულების ფორმები".

გაურკვეველი ხდება კანონისადმი ხედვის სხვადასხვა სტანდარტები და გაუგებარია _ არიან თუ არა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნი ამ სტატუსის პირები და ეკუთვნის თუ არა მათ შესაბამისი საპენსიო უზრუნველყოფა, როცა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებში თეთრზე შავით წერია, რომ მოსარჩელეები, ანუ ისინი არიან პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლნი, რომელთაც უშუალოდ განიცადეს პოლიტიკური რეპრესია და აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2, მე-3, მე-4, მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად აღიარებულნი არიან პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად. გაუგებარია, სასამართლოს შემდგომ როგორ ხდება საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მიერ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთა სოციალური უზრუნველყოფის მიზნით ქვეკატეგორიზაცია, სასამართლოს გადაწყვეტილების თავისებური ხედვა და შეხედულემისამებრ არსებული საკითხვის გადაწყვეტა, თუ ეს კანონების დაუხვეწელობისა და დაუკონკრეტებლობის ბრალია, რომელიც საბოლოო ჯამში საშუალებას იძლევა განისაზღვროს პირი სრულუფლებიანი სტატუსის მქონეა, თუ ნახევრადუფლებიანი (თუ ასეთი მიდგომაა, მაშინ ვინ არიან ისინი _ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერლნი ყველა უფლების, თუ მხოლოდ სტატუსის მქონენი, რომელთა ერთადერთი დამადასტურებელი საბუთი სასამართლოს გადაწყვეტილებაა).

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი ის არის, რომ ფონდის აზრით, როგორც რეპრესირებულებს მათ პენსია არ ეკუთვნის, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ (ალბათ გამომდინარე საკითხთანN დაკავშირებით) მათივე შვილები (მათი გარდაცვალებისა და აქედან გამომდინარე უსამართლობით დაინვალიდებულნი და შრომისუუნარონი) `სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კომპეტენტური ორგანოს მიერ პენსიის დანიშვნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში განაცხადის წარდგენის დღიდან მიიღებენ `ნანატრ" პენსიას, როგორც რეპრესირებულთა შვილები.

აღსანიშნავია ასევე, რომ 1991-1993 წლების ცნობილი მოვლენების გამო პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებს არ მიუღიათ 1991 წლის ნოემბერ-დეკემბრისა და 1992 წლის იანვარ-თებერვლის ხელფასები, ხოლო შემდგომ მათი სამუშაოდან თუნდაც უკანონო გათავისუფლებისა, რომელიც განპირობებული იყო უკანონო ხელისუფლების მიერ უკანონო დადგენილებებით ვითომ არსებულ დაწესებულებათა და სახელმწიფო ორგანოთა ლიკვიდაციითა და რეორგანიზაციით, საქართველოს რესპუბლიკის თუნდაც მაშინდელი კანონმდებლობითა და საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42.3* მუხლის საფუძველზე ეკუთვნოდათ გასასვლელი დახმარება ერთი თვის ხელფასის ოდენობით, თან ამავე დროს უნდა შენარჩუნებოდათ საშუალო ხელფასი შრომით მოწყობამდე, მაგრამ დათხოვნის დღიდან არაუმეტეს 2 თვის განმავლობაში გასასვლელი დახმარების მიცემის გაუთვალისწინებლად და უნდა შენარჩუნებოდათ უწყვეტი შრომის სტაჟი იმ შემთხვევაშიც, თუ დათხოვნის შემდეგ წყვეტილი მუშაობის ხანგრძლივობა სამ თვეს არ აღემატება. რაც შეეხება შრომის კანონთა კოდექსის 242.1 მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესს, შრომის კანონთა კოდექსის 42.3* მუხლის პირველი ნაწილის `ა" და `ბ" ქვეპუნქტების მოქმედების შეჩერების შესახებ, მათი შეჩერება კი მოხდა 2006 წლის 1 იანვრამდე, რაც ნიშნავს იმას. რომ შეჩერებული მუხლი ამოქმედდა და პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებს ეკუთვნის შრომის კანონთა კოდექსის 42.3* მუხლით გათვალისწინებული 2 თვის საშუალო ხელფასი.

ასევე აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში უწერიათ: `1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენების სამართლებრივი შეფასების შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 11 მარტის დადგენილებით საქართველოს პარლამენტის მიერ დადასტურებულ იქნა 1990 წლის 28 ოქტომბერს არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა საბჭოსა და 1991 წლის 26 მაისს არჩეული საქართველოს პრეზიდენტის, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული ტრუქტურების (შეიარაღებული ძალების ჩათვლით) და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების ლეგიტიმურობა სათანადო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ანუ ლეგიტიმაცია დადგინდა 1995 წლამდე. ეს კი იმას ნიშნავს, (მაგალითისათვის) ნუკრი ბაღდავაძე (რაც თავიანთ ყველა გადაწყვეტილებებში ყველა მათაგანს აქვს მითითებული _ ჩანართი ჩვენია), თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა კანონიერ საფუძველზე და რომ ნუკრი ბაღდავაძე, თავის უფლებამოსილებას ახორციელებდა კანონიერ საფუძველზე და რომ არა 1991-1992 წლების მოვლენები, ამ უფლებამოსილებას იგი, თუნდაც ფაქტობრივ ხელისუფალთა ფაქტობრივე კანონებით, განახორციელებდა 1995 წელსაც". ყოველივე ალბათ მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებს ასევე გააჩნიათ სამართლებრივი ბერკეტები მოითხოვონ შესაბამისი სამართლებრივად და იურიდიულად დასაბუთებული განაცდურიც და ალბათ გამომდინარე იქედან, რომ სასამართლომ უკვე მიიღო გადაწყვეტილება მათი რეაბილიტაციის შესახებ, კონკრეტული მოთხოვნით სახელფასო განაცდურის ანაზღაურებისა და სამსახურში აღდგენის შესახებ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირებმა უნდა მიმართონ სასამართლოს, სადაც მოპასუხე იქნება ის სახელმწიფო ან ორგანო, სადაც პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირები მუშაობდნენ და იღებდნენ ხელფასს, ან მისი უფლებამონაცვლენი, ხოლო მესამე პირად ალბათ უმჯობესია ჩაერთოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

უსაფუძვლოდ ასევე, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პასუხი არამარტო მთლიანად საქართველოს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებისადმი მიმართებაში, არამედ `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თავიანთ პასუხში მინიშნებული შენიშვნის მიმართაც, ვითომდაც სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიცავს მათ მიერ ჩამოთვლილ იძულებით ფორმებს და არ იძლევა ამ სტატუსით პენსიის დანიშვნის საფუძველს. გარდა ამ საკითხთან მიმართებაში პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირების მიერ ზემოთმითითებული განმარტებებისა, რაც ეხება უშუალოდ მე-12 მუხლის დამატებებს და მათგან გამომდინარე დასკვნებს, საქართველოს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებაში ასევე ნათქვამია, რომ „ . . . პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებით მას აღუდგეს დარღვეული უფლება და მიენიჭოს შეღავათები, რაც გათვალისწინებულია `საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ" კანონით", ასევე - „ამგვარად, 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ სამხედრო საბჭოს განკარგულების საფუძველზე დაყრდნობით შეუჩერდა ყოველგვარი უფლებამოსილება და განიცდიდა დევნას, როგორც კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელი". მოგეხსენებათ იმ პერიოდში ხდებოდა დევნისა და ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენება კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა არ ფიქსირდებოდა და თუნდაც დაფიქსირებულიყო, უკანონო სამხედრო საბჭოს უკანონო ფორმალური ფიქსაციაც სასამართლოზე თავისთავად უკანონოდ უნდა ჩათვლილიყო, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა მიერ მათივე სასამართლოებზე წარადგინეს უამრავი სხვადასხვა მასალა-მტკიცებულებები და მოწმეები, რითაც ადასტურებდნენ მათ მიმართ დევნის, იძულებისა და ძალადობის ფაქტები, რითაც განპირობებული იყო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში აღნიშნული ზემოთხსენებული ჩანართები დევნის შესახებ.

ამრიგად, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა მიმართ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის პასუხი არამარტო მთლიანად უსაფუძვლოა, არამედ როგორც სასამართლოების მიერ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებულებს - მათ ეკუთვნის დაენიშნოთ კანონით მონიჭებული რეპრესირებულთა პენსიები და ამასთან 2007 წლის 11 იანვარს საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული დადგენილებით _ სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ კომუნალური მომსახურების გადასახადების დასაფარავად ყოველთვიურად

გამოყოფილი თანხაც (იმ დროისათვის 7 ლარის ოდენობით).

რათქმაუნდა არ იქნება სწორი, თუ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა მიმართვა გაგებული იქნება მხოლოდ მათი მატერიალური ინტერესებიდან გამომდინარე, რამეთუ ისიც ასევე ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია მათ მიმართ დარღვეული უფლება-თავისუფლებათა მთელი რიგიდან.

პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირები დღესაც მიმართავენ ფაქტობრივ ძალაუფლების მქონე ხელისუფალთა შესაბამის ორგანოებს სამართლებრივი გზების პოვნასა და კანონიერ განხორციელებაში, რათა:

1. მოხდეს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე: საქართველოს რესპუბლიკის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების: ქალაქ თბილისის საკრებულოს დეპუტატების, ქალაქ თბილისის რაიონული საკრებულოს დეპუტატებისა და ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობის თავმჯდომარეების - პრეფექტების სრული პოლიტიკური და პიროვნული რეაბილიტაცია, რითაც ნაწილობრივ მაინც აღდგეს მათი უფლებები და ძირითადი თავისუფლებები;

2. ბოლომდე დაწესდეს და აღსრულდეს , პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა როგორც რეპრესირებულთა, სოციალური გარანტიები და ასევე გადაწყდეს საკითხი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ;

3. შეძლებისდაგვარად, დადებითად გადაწყდეს პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა სტატუსის მქონე პირთა დასაქმების პრობლემა, საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობაში სრულფასოვნად ჩართვის მიზნით.

კანონიერებისა და სამართლიანობის აღდგენა თითოეული ჩვენთაგანის ვალია

უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!

სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!

უკანონობას შეიძლება მოვერით მხოლოდ კანონით!

მარადიულ ნათელში

,,საქართველოს ჰელსინკის კავშირის" ჟურნალ ,,მატიანესთვის" წერილების დაწერა დამევალა, ორგანიზაციის აწ გარდაცვლილ წევრებზე.

ჰოდა დავჯექი ერთ საღამოს და დავიწყე წერა: ჯერ ლალი მაისურაძეზე, მერე ხანგიზ არეშიძეზე, მერე ვანანო ყაველაშვილზე... თვალწინ დამიდგნენ, გამიცოცხლდნენ ეს საოცარი, ღირსეული ადამიანები! ისეთები, მაცხოვარი რომ ,,მარილს ამა ქვეყნისას" უწოდებდა. მერე სხვა, ასეთივე ადამიანებიც გამახსენდნენ: ,,წევრებიც" და ,,არაწევრებიც", ჩემი, არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე რომ შემხვედრიან.

გოგლას სიტყვებმა გამიელვა გონებაში: ,,მაინც, საიდან მოდის, ან სად მიდის სილამაზე?"

ოღონდ, ესენი მე ვიცი, სადაც მიდიან: მარადიულ ნათელში! ამინ!

ნოდარ კიკნაძე

ლალი მაისურაძე

საქართველოს სამტროდ ნასროლმა ტყვიამ ბევრი ქართველის გულში გაიარა. ერთი, მათგანი ლალი მასურაძე იყო, პრეზიდენტის პირადი მდივანი, მისი უერთგულესი თანამებრძოლი.

1991 წლის ივლისში, მიწისძვრით დაზარალებული რაიონები მოვიარეთ პრეზიდენტის დავალებით. ზემო რაჭაში, სოფლის სასაფლაოზე ლალის მამიდაშვილის საფლავი მოვინახულეთ, ულამაზეს ადგილზე, შუაგულ ტყეში. იქვე წმიდა გიორგის სახელობის პაწია ეკლესიაა ხმაწკრიალა ზარით. გულმხურვალედ ვილოცეთ. თვალცრემლიანმა მითხრა: - მე რომ მოვკვდები, აქ დამასაფლავეთო. - რა დროს შენი სკვდილია- მეთქი, ვუსაყვედურე. მაშინ გამიმხილა: ჯაბა და კიტოვანი მემუქრებიან, მე კი მაგათ ცოცხალი არ ჩავბარდები, უმალ თავს მოვიკლავო. აკი, აუხდა კიდევაც წინათგრძნობა: „სამეგრელოს ამღებმა ვაჟკაცებმა“ წალენჯიხაში დაცხრილეს იგი 1992 წლის 6 აპრილს.

წედისის სასაფლაოზე განისვენებს მისი ტანჯული სახეული, სული კი, მწამს, ზეციური საქართველოდან ლოცულობს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოსათვის.

გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“
1993 წ. 31 მარტი

ვახტანგ (ვანანო) ყაველაშვილი



სტუდენტობის პერიოდი და შემდეგ, თითქმის მთელი დარჩენილი ცხოვრება „სტუდქალაქში“ გაატარა, ერთ ოთახში, რომელსაც ირონიულად „ვირთხიეთს“ ეძახდა და სადაც საწოლი და პატარა მაგიდა ძლივს ეტეოდა. უპრეტენზიო, თავმდაბალი, უზომოდ განათლებული, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე კაცი იყო, პროფესიით ხელოვნებათმცოდნე.

ოთხმოციანი წლების ბოლოს გამოჩნდა ეროვნულ მოძრაობაში და მას შემდეგ სულ გაისმოდა: „ვახტანგს დაუძახეთ“, „ვახო მომიძებნეთ“, „ვახტანგ, ეს დასახატია.. ეს დასაწერია... ეს სათარგმნია“, „ამის გაკეთება როგორ აჯობებს?“ და მაინც ყველაზე მდაბლად მიაჩნდა თავი, სულ ჩრდილში ყოფნას ეშურებოდა.

ეროვნული მთავრობის დროს ვაკის გამგეობაში გამოიძახეს და სიურპრიზად ერთოთახიანი ბინის ორდერი გაუწოდეს.ხელი არ მოკიდა! „- ხალხი იტყვის: ბინა იმიტომ მისცეს, ზვიადთან რომ არის, ჩემი გულისთვის ზვიადს გალანძღავენ. არ მინდა ეგეთი ბინაო“.

ხანგიზ არეშიძე



პრეზიდენტის უერთგულეს თანამებრძოლებს შორის, იყო ასეთი: ხანგიზ არეშიძე. პატრიოტი, ქვეყნის ბედ-იღბლით გულდათუთქული. დიდი, თეთრი, გაბურძგნილი თმა-წვერით შემოსილი („სანამ საქართველოს არ გავათავისუფლებ ამ ნაძირალებისგან, წვერს არ გავიპარსავო“). თვალებიდან ცეცხლის მფრქვეველი, ვულკანივით ბობოქარი. მზად იყო, ყველა მოღალატე ფიზიკურად გაენადგურებინა, თუმცა, როგორც ამტკიცებდა, „პუტჩის“ შემდეგ მას თავად დასდევდნენ მოსაკლავად. მარტო ცხოვრობდა ერთოთახიან ბინაში. „კონსპირაციულად“ ვიკრიბებოდით ხოლმე უახლოესი თანამებრძოლები, ვბჭობდით, ვდარდობდით, ერთმანეთს ვამხნევებდით. ბოლო დროს ძალიან ავადმყოფობდა. მაინც იმედიანი, გაუტეხელი, მუდამ საბრძოლოდ იყო შემართული!

ერთ უბედურ დღეს დამირეკეს: ხანგიზა გარდაიცვალაო. გული მეტკინა. მიყვარდა ეს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ალალმართალი კაცი. წავედი სამძიმარზე. მის ახლობელთაგან არავის ვიცნობდი, ამიტომ ბინაში უცნობი ხალხი რომ დამხვდა, არ გამკვირვებია, მაგრამ კუბოში მწოლიარე ახლგაზრდა კაცი რომ დავინახე, ვიფიქრე: სადარბაზო შემეშალა-მეთქი და უკან გამობრუნებას ვაპირებდი, რომ კედელზე ხანგიზას სურათს მოვკარი თვალი. მაშინღა მივხვდი: მიცვალებული გაეპარსათ, თმა შეეკრიჭათ, ამიტომ ვერ ვიცანი. როგორი ლამაზი კაცი ყოფილა! როგორი მშვიდი სახე ჰქონდა...

რა მძიმე დრო იყო, როგორი შეცვლილი ვიყავით ყველანი.

ქ რ ი ს ტ ე შ ო ბ ა

ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს - უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა ბეთლემსა.
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ დედამიწაზე,
ზეცად ასულს უკან გაგყვა ლოცვა - ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი და იუდა რამდენი.
ალბათ, მისთვის გაიაფდა ღალატი და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს საიდუმლო სერობა,
და წარსული სიზმრად მექცა, მომავალი ოცნებად,
მეგობარი ვეღარ მიცნობს, მნახავს და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა, სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს, ახალი კი - იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ჩემი სული ცას უხმობს.
ჭეშმარიტად! - კვლავ იუდა ნიშნისგებით მპასუხობს.
თუმცა, შუბლზე სამარცხვინო მინდა დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი ეგდოს ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს კვლავაც ღამე ეთიოს,
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი – უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად, ქრისტე აღსდგა ნამდვილად.

ზვიად გამსახურდია
7.01.92

ISSN 1987-7986 helsinkiunion@gmail.com

სარედაქციო კოლეგია: ნოდარ კიკნაძე (595353505), ნუკრი ბაღდავაძე, თამაზ ხუციშვილი